ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 8 ოქტომბერი, 2019 №238 (8192) ფასი: 60 თეთრი

ლევან ხაბეიშვილმა პროკურატურას კალაძის დაკითხვა მოსთხოვა

გვ.2

8 ოქტომბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

თამარს უამბო დედამ

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



რუსთაველი ზურა დადეშელის მკვლელობა ესპანეთში დაიგეგმა

დაკავებულია 2 მოქმედი და 1 ყოფილი პოლიციელი

„პოლიციელებმა გეთაშვილის მანქანა გააჩერეს, გადაიყვანეს იქ მყოფი დადეშელი და მკვლელს მიუყვანეს“



გვ.2

ხატია დეკანოიძე: „დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი კორუფციულ სქემებშია ჩართული“

„კრიმინოგენური ვითარება „ოცნებას“ აწყობს. ის არჩევნებზე კრიმინალებს კვლავ გამოიყენებს“

გვ.3

დავით ქაცარავა: „აზერბაიჯანს დავითგარეჯის დათმობა ვერ წარმოუდგენია“

გვ.3

გვ.4

უჩა ნანუაშვილი: „ზარდიაშვილი პარლამენტში კლანის ინტერესების გამტარებელი იყო“

გვ.3

გედევან ფოფხაძე: „ზარდიაშვილი „ოცნებას“ ყოველთვის აზარალებდა“

„წასვლის გადაწყვეტილება მას არ მიუღია“

ცხინვალი: „ვიმედოვნებთ, რომ ჟენევაში ლოგიკურ და დიპლომატიურ გადაწყვეტილებას მიიღებენ“

რატომ უკავშირებენ შტაინმაიერის ვიზიტს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს?

გვ.4

სამართალი გვ.5

გოჩა ვეფხვაძე ბმვ-ში ცეცხლსასროლი იარაღითა და დანით დაჭრეს

„ძმებ ფეიქრიშვილებსა და ნოდარ ნიშნიანიძეს ამასთან კავშირი არ აქვთ“

„შემთხვევის დროს ილია ჯიშკარიანი ნასვამი იყო“

შსს-მ განცხადება გაავრცელა

სასტუმრო „გორთან“ მანქანამ მამაკაცი გაიტანა

2 ლუკაშენკო მარგველაშვილს მინსკში თბილისობაზე შეხვდა

2 ცხინვალში ცენტრალურ ქუჩას პუტინის სახელი დაარქვეს

4 ზურაბ ჭიაბერაშვილი: „ჯანდაცვის სამინისტროდან ის ხალხი გაუშვეს, რომლებზეც სამინისტრო იდგა“

6 აშშ ევროპაში 25 წლის განმავლობაში ყველაზე მასშტაბურ სამხედრო წვრთნებს აანონსებს

ISSN 1987-9385

რუსთაველი ზურა დადეშელის მკვლელობა ესპანეთში დაიგეგმა

დაკავებულია 2 მოქმედი და 1 ყოფილი პოლიციელი

რუსთავში მტკვრის მიერ გამორიყული ზურა დადეშელის მკვლელობამ ფართო რეზონანსი შეიძინა.

6 ოქტომბერს რუსთავში დადეშელის მეგობარი გიორგი გეთაშვილი დააკავეს. ამის შემდეგ დაკავებულის ახლობლები ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციაში მივიდნენ და გეთაშვილთან შეხვედრა მოითხოვეს. შემდეგ ისინი შენობაში შეიჭრნენ, მაგრამ მათ შენობა სამართალდამცველებმა დაატოვებინეს.

გეთაშვილის მეუღლე აცხადებდა, რომ სამართალდამცველებს საქმის დროულად დახურვა სურდათ და ამიტომ ჰყავდათ გიორგი გეთაშვილი დაკავებული.

– 1 ოქტომბერს მან დაურეკა ჩემს მეუღლეს და უთხრა, რომ მისი ნახვა უნდოდა. გიორგი მას შეხვდა და გაიყვანა გლდანში, დატოვა ერთ-ერთი კორპუსის ეზოში ამის შემდეგ ჩემს მეუღლეს ის აღარ უნახავს, – აცხადებდა ლელა გეთაშვილი.

ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის ინფორმაციით, გიორგი გეთაშვილს ცრუ ჩვენების მიცემას ედავებიან.

– ეს არის მკვლელობის საქმე, რომელზეც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ედავებიან, რომ თითქოსდა მან მიიღო მკვლელობაში გარკვეულწილად მონაწილეობა. მისი მონაწილეობა გამოიხატება იმაში, რომ გარდაცვლილი მიიყვანა კონკრეტულ პიროვნებებთან და იმათ კიდევ მიიყვანეს მკვლელთან.

სცენა არის შემდეგი, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს პოლიციელები აჩერებენ, გადმოჰყავთ გარდაცვლილი და მიჰყავთ პოლიციელებს. როგორც აღმოჩნდა, მიჰყავთ მკვლელთან. ეს მაქვს ზოგადი ინფორმაცია, როგორიც არსებობს. თუმცა, ჩვენ პროკურატურა გვედავება, რომ ეს ყოველივე ვიცოდით, რომ უნდა მიეყვანა პოლიციასთან და შემდეგ მკვლელს უნდა განეხორციელებინა ეს, რაც აბსურდია და არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება, რადგან გარდაცვლილი არის მისი მეგობარი.

ჩემი ინფორმაციით, დაკავებულია ეს ორი პოლიციელი და ის, ვინც ეს ქმედება ჩაიდინა. მას არ უხსენებია პოლიციელები, რადგან აქ იყო დაშინება, მუქარა, ამიტომ იყო თავის შეკავება, რომ მის ოჯახს საფრთხე არ შეჰქმნოდა. ამიტომ შეიკავა თავი და პოლიციელები არ ახსენა, – განაცხადა ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ.

ადვოკატის თქმით, მისი კლიენტის დაკავება პროცესუალური დარღვევებით მოხდა.

– მე მიჭირავს დაკავების ოქმი, რომელშიც წერია, რომ ის დაუკავებიათ 2019 წლის 6 ოქტომბერს 23:09 საათზე ანუ აქამდე, გამოდის, რომ 24 საათზე მეტი ის დაკავებული არ ყოფილა და მოხალისე ყოფილა ამ შენობაში ღამე გაათია. ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია. ეს არ არის რეალობა და ჩვენ ამაზე პროცესუალურად ვიდავებთ.

„პოლიციელებმა გეთაშვილის მანქანა გააჩერეს, გადაიყვანეს იქ მყოფი დადეშელი და მკვლელს მიუყვანეს“

რეალურად დააკავეს 5 ოქტომბერს დაახლოებით 8-9 საათზე. დაკავების ოქმით ჩვენ გვედავებიან, რომ თურმე ცრუ ჩვენება მივეცით და სსკ-ის 370-ე მუხლის მესამე ნაწილით გვედავებიან, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ყოველივეს ვერ დაამტკიცებენ, აღნიშნულ საქმეზე უამრავი პროცესუალური დარღვევაა. სამჯერ მაქვს განცხადება დაწერილი. სამჯერ მოვითხოვე მასთან შეხვედრა და საქმის მასალების გადმოცემა და დღემდე არ მაქვს გადმოცემული, – განაცხადა გიორგი გეთაშვილის ადვოკატმა.

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზურა დადეშელმა ცოტა ხნის წინ ვინაობა შეიცვალა და სხვა სახელსა და გვარზე დაეწერა, მაგრამ დამნაშავეებმა მისი პოვნა მაინც მოახერხეს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ლევან ხაბეიშვილმა პროკურატურას კალაძის დაკითხვა მოსთხოვა

აუდიტის სამსახურის მიერ „ელექტროსისტემაში“ გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირებისთვის თბილისის საკრებულოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრმა ლევან ხაბეიშვილმა პროკურატურას მიმართა.

საგამოძიებო უწყებას შესაძლო გადაცდომებზე ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უკვე მიაწოდა. სავარაუდო გადაცდომის ფაქტები 2014-2017 წლამდე პერიოდს მოიცავს. საუბარია დიდი ოდენობით გაცემულ პრემიებზე, ზარალსა და არამიზნობრივ ხარჯებზე.

– დღეს პროკურატურაში ჩვენ შევიტანეთ განცხადება, სადაც ვითხოვთ კახი კალაძის და მისი მოადგილეების დაკითხვას მარტივი მიზეზით – თუ ისინი ძარცვავდნენ ენერგეტიკის სამინისტროდან სახელმწიფო ბიუჯეტს და 76 მილიონი ლარი აზარალეს, 12 მილიონის პრემია-დანამატი გასცეს, საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე უნდა გასცენ პასუხი კალაძემ და მისმა მოადგილეებმა, – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა

თბილისის ვიცემერ ირაკლი ხმალაძის განმარტებით, ენერგეტიკის სამინისტროში მომუშავე რამდენიმე ათასი თანამშრომლისთვის 3 წლის განმავლობაში გაცემულმა პრემიამ 12 მილიონი რომ შეადგინოს, ამაში ალოგიკური არაფერია. როგორც ხმალაძე აღნიშნავს, რადგან აუდიტის დასკვნა არსებობს. უკანონობისა და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საქმეს მსვლელობა მიეცემა.

ხარაგაულის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე მუშა დაიღუპა

ხარაგაულის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე მუშა დაიღუპა.

ამის შესახებ ინფორმაციას რკინიგზელთა ახალი პროფკავშირები აქვეყნებს. შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც 41 წლის მამაკაცი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

მას სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის – ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს კუთვნილი სატვირთო ავტომობილი დაეჯახა და ადგილზე დაიღუპა.

რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი „საქართველოს რკინიგზას“ მოუწოდებს, ყურადღება მიაქციოს კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც უკვე წლებია, ქვეყანაში მოქმედ ყველა სტანდარტს არღვევს.

– რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის სპეციალისტების წინასწარი მოკვლევის შედეგად დგინდება, რომ კომპანიის მხრიდან დარღვეულია სამუშაოების დაგეგმვისა და წარმოების უსაფრთხოების ნორმა და სტანდარტები.

ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ადმინისტრაციის მხრიდან ამ დრომდე არ არის შესრულებული წლების განმავლობაში რკინიგზელთა ახალი პროფკავშირების მიერ შრომის უსაფრთხოების კუთხით გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც ადგილზე დასაქმებულთა სიცოცხლეს უდიდეს საფრთხეს უქმნის.

ამ დრომდე სასამართლოს წარმოებაშია ორი მუშის საქმე, რომლებიც აღნიშნულ გვირაბში შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შედეგად დასახიჩრდნენ. მათ სამართლებრივ ინტერესებს სამივე ინსტანციის სასამართლოში პროფკავშირი წარმოადგენს.

კომპანიის მხრიდან ასევე იგნორირებულია სხვადასხვა პერიოდში გაფორმებული კოლექტიური ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები, არ სრულდება შრომის ინსპექციის მიერ გაცემული რეკომენდაციებიც, მინიმალური ანაზღაურების სანაცვლოდ ადგილზე დასაქმებული ადამიანების სიცოცხლე დღემდე რისკის ქვეშაა!

რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი მოუწოდებს საქართველოს რკინიგზას, როგორც დამკვეთ ორგანიზაციას, მაქსიმალური ყურადღება მიაქციოს კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც უკვე წლებია, დემონსტრაციულად არღვევს ქვეყანაში მოქმედ ყველა სტანდარტს და რეალურ საფრთხეს უქმნის რკინიგზელების სიცოცხლეს!

პროფკავშირი ასევე მოუწოდებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, დაუყოვნებლივ გამოიძიონ მომხდარი ფაქტი და კომპანია დაისაჯოს უმკაცრესად! – ნათქვამია განცხადებაში.

ლუკაშენკო მარგველაშვილს მინსკში თბილისობაზე შეხვდა

„ჩვენ ისე ვართ, როგორც ცხელ ქვაბში – ყველა მხრიდან გვახურებენ“

– ბელორუსებს კარგი, პატივსაცემი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ ქართველებთან.

სააგენტო „ბელტას“ ინფორმაციით, ამის შესახებ ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ საქართველოს ექსპრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრისას განაცხადა.

მარგველაშვილმა ქართველი ხალხის სახელით თბილი სიტყვები გადასცა ლუკაშენკოს, რასთან დაკავშირებითაც ბელორუსის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ბელორუსებმა ასეთი დამოკიდებულება დაიმახსოვრეს, რადგან ქართველ ხალხს ყოველთვის დიდი პატივისცემით ექცეოდნენ.

მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა ლუკაშენკოს ქართული დღესასწაულის – თბილისობის მასშტაბური ორგანიზებისთვის მინსკში.

– ეს ქართველების დამსახურებაა. თქვენ იგრძენით, რომ ჩვენ განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს ქართველებისადმი. ათასობით სტუმარი მოვიდა, მათ შორის ქართველებიც ბევრნი იყვნენ – ისინი, ვინც აქ ცხოვრობს და რომლებიც საგანგებოდ ჩამოვიდნენ. ელჩს ყოველთვის ეუბნებიან, რომ ასეთი დღესასწაულები ხშირად ჩაატაროს, – განაცხადა ლუკაშენკომ.

შეხვედრაზე საუბარი იყო საერთაშორისო ვითარებაზე, რასთან დაკავშირებითაც ბელორუსის პრეზიდენტმა თქვა:

– ჩვენ ისე ვართ, როგორც ცხელ ქვაბში – ყველა მხრიდან გვახურებენ.

გიორგი მარგველაშვილმა მაღალი შეფასება მისცა ბელორუსის საერთაშორისო ინიციატივებს, რომლებიც რეგიონსა და მსოფლიოში სტაბილურობის გამყარებისადმია მიმართული.

პარლამენტში ვანო ზარდიაშვილს თემურ გოცირიძე შეცვლის

პარლამენტში ვანო ზარდიაშვილს თემურ გოცირიძე შეცვლის. ამის შესახებ ინფორმაცია ინტერპრესნიუსს თავად თემურ გოცირიძემ დაუდასტურა.

თემურ გოცირიძე პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის 52-ე ნომერია. მას შემდეგ, რაც ვანო ზარდიაშვილმა დეპუტატის მანდატზე ოფიციალურად თქვა უარი, საარჩევნო სიის მიხედვით, მისი ადგილმონაცვლე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ზარქუა უნდა გამხდარიყო, თუმცა დეპუტატობაზე უარი თავად ზარქუამ განაცხადა. შედეგად, ვანო ზარდიაშვილის ადგილმონაცვლე სიით მომდევნო თემურ გოცირიძე გახდა.

შტაინმაიერი: „კონკრეტული ინიციატივით არ ჩამოვსულვარ“

– ამჯერად ნამდვილად არ ჩამოვსულვართ კონკრეტული ინიციატივითა თუ წინადადებით.

ასე უპასუხა საქართველოში ვიზიტად მყოფმა გერმანიის პრეზიდენტმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტის კითხვას, რომელიც საქართველოში მისი ვიზიტის კონკრეტულ მიზანს შეეხებოდა.

– მე სრულიად სხვა როლი მაქვს ამჯერად. შტაინმაიერის ფორმულას რაც შეეხება, 3 წლის წინ ეს უკვე იქნა შეთანხმებული მაღალი სამიტის დონეზე, უკრაინის, რუსეთის პრეზიდენტების, საფრანგეთის პრეზიდენტის მონაწილეობით, ასევე გერმანიის კანცლერის მონაწილეობით. შინაარსი რჩება შინაარსად.

რაც შეეხება ჩემს ვიზიტს, ეს არის ვიზიტი პოლიტიკურ წრეებთან, იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მივიდეთ ადმინისტრაციულ საზღვართან, ვესაუბროთ ევროკავშირის მისიას, მაგრამ ამჯერად ნამდვილად არ ჩამოვსულვარ კონკრეტული ინიციატივითა თუ წინადადებით. ადმინისტრაციული საზღვრის მონაკვეთი არის მნიშვნელოვანი, ამას სჭირდება ხანგრძლივი და გრძელვადიანი, მოთმინებასთან დაკავშირებული მოქმედებები, – განაცხადა შტაინმაიერმა.

სუსის უფროსად პარლამენტს გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურა წარედგინა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე დასამტკიცებლად მთავრობამ პარლამენტს გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურა წარუდგინა.

ის განსახილველად თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს უკვე გადაეცა.

პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც სუსის ხელმძღვანელი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა.

გრიგოლ ლილუაშვილი ამ დრომდე ვახტანგ გომელაურის მოადგილედ მუშაობდა.

ცხინვალში ცენტრალურ ქუჩას პუტინის სახელი დაარქვეს

ცხინვალში ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის სახელი დაარქვეს.

აღნიშნულ ქუჩას ადრე მოსკოვის ქუჩა ერქვა.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის დედაქალაქის მერის თქმით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი კომისიის ყველა წევრმა დაუჭირა:

– ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქუჩას ცხინვალში ვლადიმერ პუტინის სახელი დაერქმევა. ეს გადაწყვეტილება პუტინის დაბადების დღეს უკავშირდება და მადლიერების სიმბოლოა, – განაცხადა კოჩიევმა.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით ქაცარავა: „აზერბაიჯანს დავითგარეჯის დათმობა ვერ წარმოუდგენია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ ლიდერი **დავით ქაცარავა** პასუხობს.

– ბატონო დავით, ვრცელდება ინფორმაცია, რომ დავითგარეჯში სიტუაცია დაძაბულია. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანულმა მხარემ ახალი ბლოკპოსტი დადგა. რა ხდება, რა ინფორმაცია გაქვთ თქვენ?

– ეს არ არის ბლოკპოსტი, ეს არის ის სამხედრო ბაზა, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობდით, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებოდით და ვაფიქსირებდით ჩვენს პოზიციას. მართალია, ეს სამხედრო ბაზა აშენდა აზერბაიჯანის კონტროლირებად ტერიტორიაზე, მაგრამ უშუალო სიახლოვეშია უდაბნოსა და აღდგომის მისადგომებთან, ამ ქედის ძირშია, ფაქტობრივად. ეს ის ბაზაა, რომელზეც ჩვენი ხელისუფლება გვეუბნებოდა, რომ თურმე ეს არის დროებითი ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ბაზა და ის მალე დაიშლება. თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ გუშინ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ეს სამხედრო ბაზა, რომელიც საკმაოდ დიდია, გათვლილია მინიმუმ ასეულის უზრუნველყოფისთვის. არანაირი კვალი იმისა, რომ ეს ბაზა არის დროებით, იქ არ არსებობს.

– სოციალურ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ დავითგარეჯის სადავო ტერიტორიას აზერბაიჯანული მხარე იერთებს.

– ამას ოფიციალურად არავინ ადასტურებს, თუმცა აზერბაიჯანულ მედიაში, რომელიც 100%-ით კონტროლირებადია აზერბაიჯანული ხელისუფლების მიერ, შეუმოწმებლად არაფერი ვრცელდება. ამ ფონზე ჩვენ ვხედავთ აზერბაიჯანულ მედიაში საზეიმო სტატიებს, სადაც მკაფიოდ ფიქსირდება პოზიცია, რომ დავითგარეჯი არის აზერბაიჯანის ტერიტორია და რომ აზერბაიჯანს არ წარმოუდგენია დავითგარეჯის დათმობა.

– ამ ფონზე რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება?

– საპასუხოდ ჩვენ აბსოლუტურად ვერაფერს ვხედავთ. მათ პასუხი არა აქვთ. განცხადების დონეზეც კი არაფერი გაკეთებულა ჩვენი ხელისუფლების მხრიდან. ერთადერთი, რასაც ცდილობს ჩვენი ხელისუფლება, ეს არის ინტერესის განეიტრალება და გრადუსის დაწევა ამ საკითხთან მიმართებით. ისევ არანაირ ინფორმაციას არ გვაწვდის მიმდინარე საკითხებთან და მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება, რა სტადიაშია და რა ხდება იქ. ამის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული ინფორმაცია გვაქვს. პრობლემა სერიოზულად არსებობს და ის სულ უფრო და უფრო მძაფრდება.

– რატომ გახდა საჭირო მაინცდამაინც ახლა ამხელა სამხედრო ბაზის განთავსება სადავო საზღვართან?

– ისინი პირდაპირ ღიად ამბობენ, რომ ისინი დაიცავენ თავიანთ ტერიტორიას. ეს არის უკვე მეორე ბაზა დავითგარეჯის მიმდებარედ. პირველი სამხედრო ბაზა ამ ადგილიდან 400 მეტრში მდებარეობს, რომელიც პირდაპირ უყურებს ჩიჩხიტურის ტაძარს. ეს მეორე ბაზა კი უდაბნოს მონასტერთან აშენდა. ვიმეორებ, ეს არის სტაციონარული, სრულყოფილი ბაზა. აზერბაიჯანელები ღიად და პირდაპირ ამბობენ, რომ ისინი მზად არიან, დაიცვან თავიანთი ტერიტორიები. დავითგარეჯს ისინი თავიანთ ტერიტორიად მოიხსენიებენ, მიუხედავად იმისა, რომ დელიმიტაციის კომისიას მუშაობა დასრულებული არა აქვს. ჯერჯერობით ამ მონაკვეთს სადავო ტერიტორიის სტატუსი აქვს.

– ბატონო დავით, როგორც ცნობილია, ასევე რთულად არის საქმე სოფელ ჩორჩანასთან. ოკუპანტები ახალ სამხედრო ბაზას აშენებენ. იქნებ დეტალურად გვითხრათ, რა ხდება, რა სიტუაციაა მანდ?

– კი, ბატონო, მე ახლაც აქ ვიმყოფები, ატოცში ვარ. სამწუხაროდ, არათუ ჩორჩანასთან, არამედ ახლომდებარე სოფლებთანაც აღარ გვაქვს წვდომა.

– რატომ რა მოხდა?

– წვდომა გაგვიუქმეს პოლიციელებმა. 24-საათიანი მეთვალყურეობის ქვეშ ვართ პოლიციის მხრიდან. ყველა ნაბიჯს გვიკონტროლებს შსს.

– რა მოტივით?

– რომ მაქსიმალურად შეგვზღუდოს და შეგვიზღუდოს წვდომა იმ მოვლენებზე, რაც ახლა ვითარდება ჩორჩანის ტყეში. ახლა ჩვენ გვერდით არის პოლიცია და ეს ძვირფასი საპოლიციო რესურსი იხარჯება იმაზე, რომ შეიზღუდოს სამოქალაქო აქტივისტი.

– რა ხდება ჩორჩანის ტყეში?

– ჩვენ მაინც ვახერხებთ ჩორჩანის ტყეზე დაკვირვებას. იქ მიმდინარე მოვლენებს ძალიან აქტიურად ვაკვირდებით. ჩორჩანის ტყის მონაკვეთში, სადაც ისინი შემოჭრილები არიან და ვერტიკალში, ჩვენს ტერიტორიაზე 1300 მეტრით მიდის მშენებლობა. აქ საუბარი არ არის სტანდარტულ საგუშაგოზე. სტანდარტული საგუშაგოები ჩვენ ვიცით, როგორიც არის, ისეთი როგორიც უდგათ ატოცში, ხოლო ჩორჩანის ტყეში მიმდინარეობს უკვე ერთი თვეა მიმდინარეობს საინჟინრო სამუშაოები: ტყის გაკაფვა, გზის გაყვანა, სპეციალური თხრილების გაკეთება. ჩადგმულია რამდენიმე დიდი საველე კარავი და ყოველდღიურად ჩვენ ვხედავთ საინჟინრო მანქანების გადაადგილებას. ამ წუთის შეფასებით, საოკუპაციო ხაზი მათ უკვე სამი კილომეტრით გადმოსწიეს. სამკილომეტრიანი ის გზა, რომელიც მათ გაიყვანეს.

– ეს იყო იმის საპასუხოდ, ქართველებმა რომ ბლოკპოსტი გახსნეს ჩორჩანაში?

– მათი გააქტიურება სწორედ რომ უკავშირდება 23 აგვისტოს ქართული მხარის მხრიდან საგუშაგოს გახსნას ჩორჩანის ტყეში ტალკის საბადოსთან. საოკუპაციო ხაზიდან დაახლოებით 300 მეტრში გაიხსნა ჩვენი საგუშაგო და ამის შემდეგ დაახლოებით ერთი კვირის თავზე, მაშინ, როდესაც ულტიმატუმებმა არ გაჭრა და ჩვენი საგუშაგოს დემონტაჟი არ მოხდა, მათ უკვე საპასუხოდ დაიწყეს წნელისის მიმართულებიდან შემოჭრა წაღვლი-ჩორჩანას ტყეში. უნდა აღინიშნოს, რომ ამით არა მარტო სოფელ ჩორჩანის მოსახლეობა ზარალდება და მათი კუთვნილი ტყე იკარგება...

– სხვა სოფლის მოსახლეობაც კარგავს ტერიტორიას?

– არამედ იქვე მდებარე სოფელი წაღვლის მოსახლეობაც ზარალდება, რადგან ეს გზა წაღვლი-ჩორჩანის ტყის სახელწოდებით არის ცნობილი. ასე რომ, აქ ძალიან მასშტაბური ბაზის მაგვარი საგუშაგო აშენდება და ეს არ იქნება სტანდარტული მცირე ზომის საგუშაგო, ვინაიდან სამუშაოები უკვე ერთი თვეა მიმდინარეობს და დიდძალი სამშენებლო ტექნიკა მუშაობს აქ.

მიუხედავად იმ შეზღუდვებისა, რომელსაც გვიწესებს შსს, ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვაკვირდებით სიტუაციას და ვცდილობთ, ხელისუფლებს არ მივცეთ საშუალება, მიმდინარე ოკუპაცია მიაჩუმათონ.

ეს არ არის ის ტერიტორია, რომელიც დავკარგეთ 2008 წლის ომის შედეგად. ეს არის ახალი ტერიტორია და ეს გახლავთ ხაშურის რაიონის კუთვნილი ტერიტორია, რომელიც არასოდეს ყოფილა ცხინვალის ადმინისტრაციულ საზღვრებში და ჩვენი ხელისუფლება ამ მიწებს თმობს უპრობლემოდ.

– თქვენ რატომ გიკრძალავენ ამ ტერიტორიაზე გადაადგილებას, რომ არ გამოიტანოთ ინფორმაცია თუ რა ხდება რეალურად?

– დიახ, ასეა. ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გამოგვაქვს, ზუსტად ამ ინფორმაციის დაბლოკვის მცდელობაა და ამიტომ შეგვიზღუდეს ყველანაირი გადაადგილება და მოძრაობა. ჩვენი ხელისუფლების მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს ტერიტორიების დათმობის პროცესი თითქმის ყველა მიმართულებით. აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი – ყველა მეზობელს უთმობენ ტერიტორიებს ასე ჩუმად და უპრობლემოდ.

ხატია დეკანოიძე: „დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი კორუფციულ სქემებშია ჩართული“

„კრიმინოგენური ვითარება „ოცნებას“ აწყობს. ის არჩევნებზე კრიმინალებს კვლავ გამოიყენებს“

იაგო ნაცვლიშვილი

ბოლო ერთ კვირაში საქართველოში განსაკუთრებულად დამძიმდა კრიმინოგენური ვითარება. წინა კვირაში ვაკეში, დედაქალაქის ცენტრში, ავტომობილი ააფეთქეს, 2 დღის წინ კი შარტავას ქუჩაზე მამაკაცი დაჭრეს და მანქანიდან გადმოაგდეს. იყო ყაჩაღობისა და ქურდობის არაერთი ფაქტი როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. ამ ვითარებაში კი პრეზიდენტი მკვლელობისა და პედოფილიის მუხლით გასამართლებულ პირებს იწყალებს.

რით აიხსნება კრიმინოგენური ვითარების დამძიმება? რა კავშირშია ეს არჩევნებთან და „ქართული ოცნების“ პოლიტიკასთან? – აღნიშნულ საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ხატია დეკანოიძე** პასუხობს.

– ვხედავთ, რომ ქვეყანაში ბოლო პერიოდში საკმაოდ მომძლავრებულია კრიმინოგენური ვითარება, ვიღაცას მანქანა აუფეთქეს, ვიღაცა დააყაჩაღეს, ვიღაცას შუა ქუჩაში დღისით, მზისით, ცეცხლი გაუხსნეს. თქვენი შეფასებით, რით არის ეს გამოწვეული?

– პირველ რიგში, ეს ხდება იმიტომ, რომ ხელისუფლება უკვე მერამდენე წელია, გარიგებულია კრიმინალთან. ეს არის ძალიან მარტივი შეფასება. პირველი შემთხვევა იყო არჩევნები, მეორე, სიტუაციის დალაგება კრიმინალების მიერ, იმავე ციხეებიდან, ვხედავდით, როგორ ხდებოდა სიტუაციის დალაგება საარჩევნო უბნებზე. მესამე მიზეზი კი არის ის, რომ პრაქტიკულად პოლიტიკური პოლიცია შექმნეს, რომელსაც კრიმინალთან ბრძოლის დავალება არ აქვს. პირიქით, მას დავალება აქვს, რომ პოლიტიკური ფუნქცია შეასრულოს. ეს არის ძალიან მოკლე და კონკრეტული ფორმულა იმისა, რატომაც არის ასეთი კრიმინოგენური ფორმულა და ამაზე არაერთხელ გვისაუბრია, მათ შორის არჩევნებზე და არა მხოლოდ არჩევნების კონტექსტში.

– ახსენეთ პოლიციის თემა და მათ შორის ამის ნიშანი იყო ისიც, რომ ვნახეთ, როგორ შეიწყალა პრეზიდენტმა პოლიციელის მკვლელობისთვის მსჯავრდებული?

– რასაკვირველია. ეს უკავშირდება ყველაფერს ერთად, მათ შორის შეწყალების ფორმულას. მათ შორის გარიგებას და მათ შორის იმას, რომ რეალურად პოლიციის მიმართ ნდობა ჩვენს საზოგადოებაში ძალიან დაბალია. ესეც უკავშირდება ხელისუფლების მიზანმიმართულ პოლიტიკას, რაც უკავშირდება ხელისუფლების მიერ კრიმინოგენური ვითარების ე.წ. დალაგებას, რაშიც ჩართული არიან კრიმინალური ავტორიტეტები.

ძალიან მარტივია ამის შეფასება. ბევრი განსჯა არ სჭირდება. ამაზე არაერთხელ გვისაუბრია და ეს ასე იქნება, უფრო სწორად, კიდევ უფრო გაუარესდება სიტუაცია და ეს რეალობა გვექნება იქამდე, სანამ არ შეიცვლება ხელისუფლება.

– ანუ ხელისუფლებას აწყობს ეს ვითარება თუ იმდენი შეცდომა დაუშვეს, რომ სხვა გამოსავალი აღარ აქვს?

– რა თქმა უნდა, აწყობს. კიდევ მოვა არჩევნები და ხელისუფლება გამოიყენებს კრიმინალს სათავისოდ ძალიან მარტივად.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გედევან ფოფხაძე: „ზარდიაშვილი „ოცნებას“ ყოველთვის აზარალებდა“

„წასვლის გადაწყვეტილება მას არ მიუღია“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **გედევან ფოფხაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ წევრ ვანო ზარდიაშვილის მიერ დეპუტატის მანდატის დატოვების შესახებ საუბრობს.

– ბატონო გედევან, ვანო ზარდიაშვილის გადაწყვეტილებას თქვენ როგორ ხსნით? ის ამბობს, რომ მან თავად მიიღო ეს გადაწყვეტილება, მიუხედავად პარტიის წინააღმდეგობისა.

– მისი კომენტარით უნდა ვიხელმძღვანელოთ. თუ იტყვის რომ სამეცნიერო მუშაობას აპირებს და არქიტექტორი უნდა გახდეს, მაშინ გასაგები იქნება, რომ მოტივაცია არასწორია.

– ის ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ სიმართლე ჩემ მხარეს იყო, მივიღე ეს გადაწყვეტილებაო. რას იტყვით?

– რომელ სიმართლეზეა საუბარი?! დაასაბუთოს, რატომ დადო დეპუტატის მანდატი – ჩემ გამო დადო?! ეკა ბესელიას გამო დადო?! თქვას, რატომ დადო მანდატი.!

– როგორ ფიქრობთ, ვინ მიიღო გადაწყვეტილება?

– მე არა მგონია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს გადაწყვეტილება მისი გადაწყვეტილება იყოს.

– ზარდიაშვილი „ქართულ ოცნებას“ აზარალებდა და ამიტომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება?

– დიახ, ზარდიაშვილი რომ „ქართულ ოცნებას“ აზიანებდა და აზარალებდა, ამას ჯერ კიდევ „ქართულ ოცნებაში“ ყოფნის დროს ვამბობდი, მათ შორის ჩვენ ამ პოზიციას ბიძინა ივანიშვილთან საუბრის დროს ვაფიქსირებდით. ამის შესახებ ივანიშვილს პირადად ვეუბნებოდით!

ძალიან ბევრი პრობლემა იქმნებოდა მისი მხრიდან არა მხოლოდ იურიდიულ კომიტეტში, ზოგადად. ერთ-ერთი კონფლიქტი უმრავლესობის სხდომაზე სწორედ მისი მხრიდან იყო პროვოცირებული. როგორც წესი, მისი საუბრები ისეთი ქვეტექსტებით იყო, რომელსაც მერე უნდა მოჰყოლოდა ან გარჩევა ან ჩხუბი.

– ვანო ზარდიაშვილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში როგორ მოხვდა?

– მოსამართლეთა კლანს სჭირდებოდა საკონტაქტო პირი პარლამენტში და, შესაბამისად, იმ გუნდის გადაწყვეტილებით მოხდა ეს ყველაფერი.

– დადებითად აისახება „ქართული ოცნების“ იმიჯზე ეს გადაწყვეტილება?

– პირადად ჩემთვის არაფერი იცვლება. თუ ვანო ზარდიაშვილის გაშვება ვინმეს უნდოდა, ის უნდა გაეშვათ მორალური პრობლემების გამო. იმის გამო, რომ ეს კაცი არ უნდა ყოფილიყო „ქართული ოცნების“ სიაში და არა იმიტომ, რომ არჩევნები მოდის და ახლა ასეთი ადამიანის გამოჩენა წამგებიანია ხელისუფლებისთვის. ამიტომ არაფერი იცვლება. მე მაქვს ის პოლიტიკური დღის წესრიგი, რაც მქონდა.

არსებითად უნდა შეიცვალოს ეს მოცემულობა და აქცენტი უნდა გავაკეთოთ იმაზე, რომ მჩაგვრელების პოლიტიკური კლასი არჩევნებზე უნდა დამარცხდეს. მჩაგვრელები კი არიან ნაციონალებშიც და „ოცნებაშიც“. ჩვენ ყველა მჩაგვრელს უნდა დავუპირისპირდეთ. ვინც ადამიანს ჩაგრავს, ვინც საჯარო რესურსს თავისი კერძო ინტერესებისთვის იყენებს, ამ პოლიტიკურ კლასს უნდა დავუპირისპირდეთ არჩევნებზე.

ამა თუ იმ პარტიისთვის ფერუმარილის შეყრა და ვიზუალური ეფექტების შექმნა, რომ აღარ მყავს ქვეყნისთვის დამაზიანებელი ადამიანები გუნდში, აღარ არის საინტერესო.

– ეს გადაწყვეტილება იყო მხოლოდ ფერუმარილი და მეტი არაფერი?

– დიახ, გიდასტურებთ. ეს არის ზედაპირული მცდელობები, რომ დაიმალოს არსებული ნეგატივი. ალბათ გადავლენ მოთმენის რეჟიმზე. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ყველაფერს მოითმენენ.

როგორც ვატყობ, „ქართული ოცნების“ გუნდმა გაიაზრა მოსამართლეების საკითხთან დაკავშირებით, რომ მისი პოზიცია წამგებიანია. ამიტომ ეს პოზიცია უარყვეს და კანდიდატების მიმართ პრინციპულ შეკითხვებსაც კი სვამენ. ეს ინიციატივაც კი აიღეს, რომ მოცემულობას არ ჩამორჩნენ.

„ოცნება“ ცდილობს, არ დატოვოს შთაბეჭდილება, რომ ის ამ 20-კაციანი სიის „გამპრავებელია“ და რომ ის იუსტიციის საბჭოს კლანის ინტერესების ლობისტია. არადა, ყველამ კარგად იცის და გარკვეულია, რომ ვანო ზარდიაშვილი კლანის ინტერესებს გამოხატავდა პარლამენტში, პირდაპირ კლანის ლობისტი იყო. დღიდან დეპუტატობისა სხვა ამოცანა მას არც ჰქონია.

– ზარდიაშვილის გადაწყვეტილება ცვლის რამეს?

– არა. ასეთი მკვეთრი პოზიცია წამგებიანი იყო. ამიტომ მათ უნდათ, ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირონ, რომ ისინი არ არიან კლანის ინტერესების მორჩილი შემსრულებლები პარლამენტში.

ეს შეიძლება იმითაც გამოიხატოს, რომ, მაგალითად, კანდიდატი გეწავე, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა შეუჩერა, კენჭისყრაზე ჩააგდონ. კიდევ სხვა კანდიდატების გვარების დასახელება არ მინდა. საპარლამენტო უმრავლესობა ამით შეეცდება, კლანის ინტერესების მორჩილი შემსრულებლის შლეიფი მოიშოროს.

– შეძლებს?

– თუ საზოგადოება არ შეთანხმდება იმაზე, რომ მას ხალხის მთავრობა, ხალხის პოლიტიკოსები უნდა და არა – ივანიშვილის ან სააკაშვილის მსახური მთავრობა, მაშინ ყველაფერს შეძლებს.

საზოგადოება უნდა გაერკვეს, ვინ არის ხალხის სამსახურში და იმ ხალხთან უნდა დადგეს. თუ პოლიტიკოსი ხალხის სამსახურში არ არის, მას არაფერი ესაქმება პოლიტიკაში.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

უჩა ნანუაშვილი: „ზარდიაშვილი პარლამენტში კლანის ინტერესების გამტარებელი იყო“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტს უმრავლესობის წევრი ვანო ზარდიაშვილი ტოვებს, რომელიც მოსამართლეთა კლანთან ასოცირდებოდა და მისი ინტერესების გამტარებლად ითვლებოდა. დეპუტატმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განცხადებაც გაავრცელა.

„საზოგადოება ყოველდღიურად ხედავს, რომ სხვადასხვა მხრიდან თითოეული მათგანის მიმართ მუდმივად მიდის ტალახის სროლა, თუმცა ერთ-ერთი მთავარი სამიზნე, სხვადასხვა გარემოების გამო, ამ გუნდში მეც აღმოვჩნდი. მიუხედავად იმისა, რომ 2003-2012 წლებში ჩემი ყველაზე დიდი თანამდებობა განყოფილების უფროსობა იყო, მე ამომარჩიეს იმ დროსთან დაკავშირებული შავი პიარის სამიზნედ. ამის მიუხედავად, ამ სამწლიანი ბინძური, ნეგატიური კამპანიის ფონზე ვერ მოიძიეს ვერც ერთი ფაქტი, ვერც ერთი მტკიცებულება, რომ რამე კანონის საწინააღმდეგო ან რამე ცუდი ჩამედინოს.

განტევების ვაცის გამოყვანა ჩემგან მხოლოდ პარლამენტში შემოსვლის შემდეგ განიზრახეს. არ აქვს მნიშვნელობა, როგორი ბინძური გზებით შეძლეს ჩემი დაკავშირება კონკრეტულ თემებთან თუ გამოგონილ ინტერესებთან. დღეს, პირველ რიგში, ჩემ უკან დგას ჩემი ოჯახი და მცირეწლოვანი შვილები, რომლებსაც ამ ყველაფრის გამო ყოველდღიურად უდიდესი სტრესის გადატანა უწევთ. დგება მომენტი, როდესაც ვალდებული ხარ გაუფრთხილდე საკუთარ ოჯახს და შენს გუნდს. აქამდე მე ვიცხოვრე ისე, რომ არასდროს შემრცხვება სხვისთვის თვალებში ჩახედვის და ასე ვიცხოვრებ მომავალშიც, სხვებს კი მოვუწოდებ ნაკლები სიძულვილი და მეტი საქმე აკეთონ პოლიტიკაში და გააკეთონ ეს ღირსეულად. მე მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო საქართველოს პარლამენტი და დეპუტატის მანდატი“, – აღნიშნულია ვანო ზარდიაშვილის განცხადებაში.

რით აიხსნება ზარდიაშვილის გადაწყვეტილება და ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ბიძინა ივანიშვილმა სხვა ვანო ზარდიაშვილით შეცვალოს ის და კვლავაც კლანის ინტერესების გატარება მოხდეს? – ამ საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახალხო დამცველი **უჩა ნანუაშვილი** პასუხობს:

– ვანო ზარდიაშვილი ტოვებს დეპუტატის მანდატს. გაკეთდა ასეთი შეფასებებიც, რომ ეს არის კლანის დამარცხებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. იზიარებთ თუ არა ამ ოპტიმიზმს?

– რა თქმა უნდა, ზარდიაშვილი მოიაზრებოდა, როგორც კლანის ინტერესების გამტარებელი, ამიტომ ეს გადაწყვეტილება შეიძლება განვიხილოთ, როგორც უკანდახევა კლანის მხრიდან. თუმცა, ის არ ყოფილა ერთადერთი პირი, ვინც კლანს ლობირებდა, შესაბამისად, მე ვერ ვხედავ, რომ კლანი მარცხისკენ წავიდა, მით უმეტეს, რომ განხილვები კვლავ მიმდინარეობს და რეალურად გამოჩნდება ამ პროცესის შემდეგ, რასთან გვაქვს საქმე. ეს არის ტაქტიკური ნაბიჯი იმისათვის, რომ საზოგადოება მოდუნდეს და შემდეგ მოხდეს კლანის წარმომადგენლების გაყვანა პარლამენტის მიერ. ეს ყველაფერი რეალურად გამოჩნდება განხილვების დროს, მაშინ როდესაც პარლამენტი ყველა კანდიდატს მოუსმენს და გადაწყვეტილებას მიიღებს.

– ზარდიაშვილის გადაწყვეტილება იმითაც ხომ არ აიხსნება, რომ მისი ქონების შესახებ გავრცელდა ბოლო პერიოდში ინფორმაცია და რაღაცნაირად მისი ჩამოჩოჩების განცდას ხომ არ ქმნის ბიძინა ივანიშვილი?

– მისი ქონების შესახებ ინფორმაცია მანამდეც არსებობდა. რამდენიმე წლის წინაც იყო ინფორმაცია, ეს კარგად მახსოვს, თუმცა მაშინ ასეთი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. ზარდიაშვილის ქონებასთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი იყო თავიდანვე. სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან რეაგირება არ გამახვილებულა ამ თემაზე, ამიტომ მიჭირს კომენტარის გაკეთება იმაზე, თუ რას უკავშირდება ზარდიაშვილის ახლანდელი გადაწყვეტილება.

ფაქტია, რომ ამ გადაწყვეტილებას ზარდიაშვილი თვითონ არ მიიღებდა და ეს უკვე მის ზემდგომი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა. ეს უფრო ამას ჰგავს, ვიდრე თავად ვანო ზარდიაშვილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამე დაგროვდა ბოლო პერიოდში, მისი სკანდალური განცხადებები და ე.წ. სამწუხარო მომენტები, მაგრამ აქამდე ამაზე რეაგირება არ მომხდარა.

ვინაიდან ამ საკითხებს აქამდე რეაგირება არ მოჰყოლია, ამიტომ ახლა რას უკავშირდება ეს, ეს ცოტა რთული სათქმელია.

– ვანო ზარდიაშვილი წავიდა, მაგრამ, შესაძლოა, სხვა გეგმა ჰქონდეს ბიძინა ივანიშვილს და სხვა ვანო ზარდიაშვილი მოვიდეს, რომელიც დაალაგებს სასამართლოს ე.წ. კლანთან ურთიერთობას. ამ გეგმას თუ ელოდებით ივანიშვილის მხრიდან?

– ბოლო მოვლენებს თუ გავიხსენებთ, მაგალითად, იმას, რომ პროკურორი წავიდა და ის კვლავ ჩართულია გარკვეულ საქმეებში, ეს სრულიად მოსალოდნელია. მხედველობაში მაქვს ფარცხალაძის მაგალითი, რომელიც ამის შემდეგ კვლავ ივანიშვილის გარემოცვაშია. თუმცა, მისი მონაწილეობა არაერთ ბევრ სკანდალურ საქმეს უკავშირდება. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ფორმალურად იქნება თუ არა. ასეა ახლაც, იქნება ზარდიაშვილი პარლამენტში თუ იქნება გარეთ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ დავინახავთ, რომ ხელისუფლებაში არიან ისევ ის ადამიანები, რომლებიც კლანის ინტერესებს წარმოადგენენ. შესაბამისად, მათი გავლენები კვლავ სახეზე იქნება და ამით ბევრი არაფერი შეიცვლება, გარდა იმისა, რომ ოდიოზური ფიგურების ჩამოცილება მოხდება ხელისუფლებიდან.

– ანუ ფორმალურად იცვლება, მაგრამ იატაკქვეშეთში ისინი კვლავ გააკეთებენ „გასაკეთებელ საქმეებს“?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ასეთი შემთხვევები გვახსოვს. თუ ის მავნე პრაქტიკა შეცვლილი იქნება, რაც აქამდე გვინახავს, ამასაც სჯობს, რომ დაველოდოთ. თუ ეს შეიცვლება, ამასაც დავინახავთ, მაგრამ დღემდე ასეთი მიდგომა არ ყოფილა.

– ბოლოს შეაფასეთ ზარდიაშვილის განცხადების პათოსიც. ვნახეთ, როგორი უცოდველობის მანტიით წარმოგვიდგა და გვითხრა, როგორ აგორდა მის წინააღმდეგ „შავი პიარი“ მას შემდეგ, რაც პარლამენტის წევრი გახდა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

– ის იყო კლანისა და კლანის განსახორციელებელი საქმეების და ის ჩართული იყო იმ სამწუხარო პროცესებში, რაც ამ მიმართულებით ხდებოდა. პირიქით, ის თავად მონაწილეობდა არაერთ „შავ პიარში“ სხვადასხვა მიმართულებით, იქნებოდა ეს დამოუკიდებელი ინსტიტუციები, პირები თუ ოპოზიციური ძალები. ამიტომ მისი ეს განცხადება ჩემთვის სერიოზული არ არის.

ხატია დეკანოიძე: „დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი კორუფციულ სქემებშია ჩართული“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– თუმცა მის ავტორიტეტზე და რეიტინგზე უარყოფით გავლენა რა დივიდენდებს მისცემს მმართველ გუნდს?

– დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ ზუსტად მანდ არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. ის ფიქრობს, რომ საარჩევნოდ ის გამოიყენებს ყველა ბინძურ ხერხს, მათ შორის კრიმინალთან ურთიერთობის დალაგებას. როგორ ფიქრობთ, გახარიას დაწინაურება და პრემიერ-მინისტრად დანიშვნა იყო თუ არა ბიძინა ივანიშვილის რეიტინგისთვის ხელის შემშლელი?! მათ რეიტინგი არ აინტერესებთ. მათ აინტერესებთ რეალურად ძალაუფლებაში ყოფნა.

– იმას ამბობთ, რომ ხელისუფლება ფიქრობს არა რეიტინგსა და ამომრჩევლის დარწმუნებაზე, არამედ სხვა მეთოდების გამოყენებაზე?

– დიახ. რასაკვირველია, მისი საზრუნავი არის ძალაუფლების შენარჩუნება.

– პრეზიდენტმა, მკვლელობაში მსჯავრდებულების გარდა, ასევე შეიწყალა პედოფილიაში მსჯავრდებული და ამ თემით მორიგი სკანდალი აგორდა. საით მიჰყავს მას ქვეყანა და თან იმ ვითარებაში, როდესაც რეალურ პასუხს არ გვცემს საზოგადოებას ამ თემებზე?

– პრეზიდენტისთვის ეს მნიშვნელოვანი არ არის, იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ის ჩარეული და გაბმულია კორუფციულ სქემებში, დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ მას საერთოდ არ აინტერესებს საზოგადოების აზრი, ანუ რეალურად სალომე ზურაბიშვილი არის ბიძინა ივანიშვილის სქემის ნაწილი, აქაც მარტივად დგას საკითხი. ამას გარდა, „ოცნების ხელისუფლებამ“ გამოუშვა კრიმინალები ციხეებიდან, ესეც ხომ ვნახეთ?!

– ვნახეთ მორიგი სკანდალი „ოცნებაში“. საკრებულოს დეპუტატს მისი თანამშრომელი ქალი ადანაშაულებს სექსუალურ და ფიზიკურ ძალადობაში. დაუსჯელობის სინდრომია?

– ეს არის სრულიად სამარცხვინო, როდესაც ამ ადამიანს ჯერ დაზარალებულის სტატუსიც კი არ აქვს მინიჭებული, რადგანაც ის იყო „ქართული ოცნების“ დეპუტატი, მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო დაიფარეს მას ხელი. ამაზრზენია ყველა ის კომენტარი, რომელსაც მმართველი გუნდის მხარე აკეთებს ამ აღმაშფოთებელ ფაქტთან დაკავშირებით.

– ანუ ხელისუფლების მხრიდან „გაპრავების“ მცდელობას უკვე ხედავთ?

– რასაკვირველია, ეს ასეა და ეს ნათლად ჩანს იმ კომენტარებიდან, რომლებსაც ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ.

ცხინვალი: „ვიმედოვნებთ, რომ ჟენევაში ლოგიკურ და დიპლომატიურ გადაწყვეტილებას მიიღებენ“

რატომ უკავშირებენ შტაინმაიერის ვიზიტს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს?

მარიამ მჭედლიშვილი

8-9 ოქტომბერს დაგეგმილია ჟენევის მრავალმხრივი საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგი, 49-ე რაუნდი. წინა რაუნდი, ფაქტობრივად, ჩაშლილად გამოცხადდა „გავრილოვის ღამის“ შემდგომი პროცესების ფონზე.

მოახლოებული რაუნდის დიდი დრო ცხინვალის რეგიონს მიეძღვნება. ოსები ისევ აპროტესტებენ ქართული ბლოკსაგუშაგოს აღმართვას სოფელ წნელისთან. ამ თემაზე ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს პოზიციის დაცვაში ეხმარება სოხუმი.

საქართველოს დელეგაცია ამ მოლაპარაკებებზეც გააგრძელებს ბორდერიზაციის, „ოთხოზირია-ტატუნაშვილის“ სიის, ასევე ქართველების დისკრიმინაციის საკითხების წამოწევას.

– მომავალი რაუნდის მნიშვნელობა რამდენიმეჯერ იზრდება. ვიმედოვნებთ, რომ შექმნილ სიტუაციაში მიღებული იქნება ლოგიკური და დიპლომატიური გადაწყვეტილება, – აცხადებს ცხინვალის დე ფაქტო პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში მურად ჯიოევი.

მისი მტკიცებით, ჟენევის დისკუსიები იმართება იმ დროს, როცა ქართული მხარე ძაბავს მდგომარეობას. ქართულმა მხარემ შეუთანხმებლად მოაწყო ბლოკპოსტი ოსურ სოფელ წნელისთან (უისტასთან).

ცხინვალის რეჟიმმა თბილისის მოქმედებებზე ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან კონსულტაციებისას უკვე დაიჩივლა. დე ფაქტო პრეზიდენტმა ბიბილოვმა გაეროს, ევროკავშირისა და ეუთოს წარმომადგენელ თანათავმჯდომარეებს გაატანა რუკა საბჭოთა საქართველოში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრებით. მანვე განმარტა, რომ ამ საზღვრებს აღადგენენ.

– შექმნილი სიტუაცია ადასტურებს, რომ აუცილებელია ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის მიღება, – აცხადებს მოლაპარაკებების წინ ჯიოევი.

ბოლო დროს ოსები იმუქრებიან, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე საქართველოს ოკუპანტადაც წარმოაჩენენ. ისინი აცხადებენ, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ოსური მიწები მიითვისა.

ეს საკითხი ჟენევის მოლაპარაკებებზე, მით უმეტეს, ამ დაძაბულ რაუნდზე ვერ დაისმება. პერსპექტივაში, რუსეთის წაქეზებით ყველაფერია მოსალოდნელი. დაგეგმილია ანტიქართული კამპანიის გაძლიერება.

ოს ისტორიკოსებს ანტიქართულ კამპანიაში შემოაქვთ გაუგონარი ნოტები. ოსები, ტრადიციულად, კავკასიელებად არ ითვლებიან. ოსი ისტორიკოსები ირწმუნებიან, რომ ოსები კავკასიის მთავარი მოსახლეობა იყო. ისინი ამბობენ, რომ დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოში, ოსების, იმავე ალანების, წინაპრები – სარმატები – ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში სახლობდნენ. ამ დღეებში ვლადიკავკაზში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია ალანურ-სომხურ ურთიერთობებზე. კონფერენციაზე ითქვა, რომ ოსების წინაპარი ტომები ცენტრალური და დასავლეთი კავკასიის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდნენ.

მათი მტკიცებით, საქართველოში ოსურ კვალზე მიანიშნებს ცხინვალსა და ჯავაში აღმოჩენილი სამარხები.

ჟენევის მორიგ რაუნდს წინ უძღვის გერმანიის ფედერაციის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის ვიზიტი საქართველოში.

არსებობს მოსაზრება, რომ გერმანელი მაღალი სტუმარი თბილისს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გამოსწორების მისიით ეწვია. ბოლო დროს შტაინმაიერის გვარი უკავშირდება უკრაინის ფორმულას. ესაა უკრაინის ტერიტორიული პრობლემების მოგვარების ვარიანტი. „შტაინმაიერის გეგმის“ თანახმად, დონბასს ენიჭება განსაკუთრებული სტატუსი.

რას მოუტანს შტაინმაიერი თბილისსა და მის ოკუპირებულ რეგიონებს, რა შეიცვლება რუსეთთან ურთიერთობაში? ეს მომავალში გამოჩნდება.

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „ჯანდაცვის სამინისტროდან ის ხალხი გაუშვეს, რომლებზეც სამინისტრო იდგა“

ჯანდაცვის სამინისტროდან თანამშრომლების გაშვებას „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ფეისბუქში გამოეხმაურა.

– იმის გამო, რომ ყველაზე მეტი შეხება აქვს მოქალაქესთან, ბუნებრივია, უკმაყოფილებაც ყველაზე მეტი ამ სამინისტროზე მოდის. ვიდრე მივიდოდი, უფრო ძვირი მესმოდა სამინისტროზე, ვიდრე კარგი. მახსოვს, სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი ჯანდაცვის სამინისტროს საშუალო რგოლის პროფესიონალიზმითა და კვალიფიკაციით.

როგორ გამოიყენებ ამ ადამიანებს, ეს პოლიტიკური ხელმძღვანელობის უნარიანობის საკითხია. მე მგონი, უზარმაზარი „ინსტიტუციური მეხსიერების“ ასე ხელაღებით წაშლა ძალიან სარისკო ნაბიჯია, – წერს პოლიტიკოსი.

ის დარწმუნებულია, რომ სამინისტროდან გათავისუფლებული ადამიანები თავიანთ გზას იპოვიან, მაგრამ კვალიფიციური კადრი ერთ დღეში არ იბადება.

– მადლობა ყველას, ვინც წლების განმავლობაში ღირსეულად ემსახურა თავის საქმეს და ახლა, სავარაუდოდ, მადლობის უთქმელად გაუშვეს სახლში, – აღნიშნავს ჭიაბერაშვილი.

ის ხაზს უსვამს, რომ „ევროპული საქართველო“ ბიუროკრატიის შეკვეცის მომხრეა, მაგრამ სახელმწიფო აპარატში „შეყრილი“ „ქართული ოცნების“ აქტივის შეკვეცისა და არა იმ ადამიანების სამსახურიდან გაშვების, რომლებზეც დგას სახელმწიფო პროგრამების მართვა.

* * *

ჯანდაცვის სამინისტროში საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით გუშინ, 7 ოქტომბერს, განმარტება გააკეთა მინისტრის პირველმა მოადგილე თამარ გაბუნიამ.

– რეორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნა კომისია, რომელიც ორიენტირებული იყო კანდიდატების ობიექტურ შეფასებაზე.

კომისიის მუშაობამ გამოავლინა თანამშრომლები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ ზოგად კომპეტენციებში გარკვეულ სტანდარტებს. ჯამში ასეთი თანამშრომლების რაოდენობა არის 51. მათთვის შესაბამისი სამსახურის მხრიდან განხორციელდა ალტერნატიული პოზიციების შეთავაზება. ასევე, კანონმდებლობის შესაბამისად, ვისთვისაც ალტერნატიული პოზიცია მისაღები არ აღმოჩნდა, გათვალისწინებული იქნება მობილობის საკითხი, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

მისი თქმით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ზოგიერთი ქვედანაყოფის შერწყმა.

– ასეთი სტრუქტურა გააუმჯობესებს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციას, მეტად ეფექტურს გახდის მუშაობას და თავიდან აგვაცილებს ფრაგმენტაციასა და რესურსების გაორებას, – დასძინა თამარ გაბუნიამ.

„შემთხვევის დროს ილია ჯიშკარიანი ნასვამი იყო“

შსს-მ განცხადება გაავრცელა

თამთა თოდაძის მიერ სექსუალურ ძალადობაში დადანაშაულებული „ქართული ოცნების“ წევრი ილია ჯიშკარიანი ამ დრომდე საავადმყოფოშია. გამოძიება კი აქტიურად კითხავს ბიუროს იმ თანამშრომლებს, რომლებიც ისნის მაჟორიტარულ ოფისში სავარაუდო სექსუალური დანაშაულის დროს შენობაში იმყოფებოდნენ.

კურიერის ინფორმაციით, შემთხვევის დროს იქ მყოფი ადამიანები ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, მათ შორის დეპუტატი ილია ჯიშკარიანიც. თუმცა, სამაჟორიტარო ბიუროს თანამშრომლები აცხადებენ, რომ ინციდენტის დროს ოფისში საერთოდ არავინ იმყოფებოდა.

– ჩვენ ვმუშაობდით გარეთ, ვაგროვებდით ტანსაცმელს, დამტვრეული ვნახე ყველაფერი. სხვა დეტალებს მე არ ვიტყვი, ხომ ველოდებით გამოძიებას, – განაცხადა ბიუროს თანამშრომელმა ნინო კვარაცხელიამ.

გარდა ამისა, პოლიციის განყოფილება დატოვა პიროვნებამ, რომელიც სავარაუდო მსხვერპლს გარიგებას სთავაზობდა.

მამუკა ფეიქრიშვილმა კურიერთან სატელეფონო საუბრისას აღნიშნა, რომ ითანამშრომლა გამოძიებასთან, თუმცა დეტალებზე საუბარი არ სურს.

– მივედი და მივეცი გამოძიებას ჩვენება, შეგიძლიათ პრესცენტრში მიხვიდეთ... ეს შემობრუნებული ლაპარაკი არ გვინდა, – განაცხადა ფეიქრიშვილმა.

გუშინ, 7 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ილია ჯიშკარიანის საქმეზე განცხადება გაავრცელა.

– 112-ში შეტყობინების შესვლის შემდეგ, სამართალდამცველები გამოცხადდნენ მითითებულ მისამართზე. თავდაპირველად ზარის ინიციატორსა და მის დედას გავესაუბრეთ. შემდგომ ისინი გადავიყვანეთ პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვის მიზნით. მოცემულ სსს-ზე ჩატარდა ყველა შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება კერძოდ, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, მოწმის სახით გამოიკითხნენ საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირები, დანიშნულია ყველა შესაბამისი ექსპერტიზა. აქტიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები სსს-ზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით მიმდინარეობს, – აღნიშნულია განცხადებაში.

ილია ჯიშკარიანი გაუპატიურების მცდელობას უარყოფს და ყოფილ თანაშემწეს შანტაჟშიც კი ადანაშაულებს.

სასტუმრო „გორთან“ მანქანამ მამაკაცი გაიტანა

მამაკაცი დაიღუპა

ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე, სასტუმრო „გორთან“, მსუბუქი ავტომობილი ქვეითს დაეჯახა.

შემთხვევა 6 ოქტომბერს საღამოს მოხდა. მამაკაცი შეჯახების შედეგად ადგილზე დაიღუპა. ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს.

ავარიის შედეგად მაგისტრალზე მოძრაობა რამდენიმე წუთით შეფერხდა.

გოჩა ვეფხვაძე ბმვ-ში ცეცხლსასროლი იარაღითა და დანით დაჭრეს

„ძმებ ფეიქრიშვილებსა და ნოდარ ნიშნიანიძეს ამასთან კავშირი არ აქვთ“

ლისის ტბაზე დაჭრილი გოჩა ვეფხვაძე საავადმყოფოში რჩება, საქმეზე კი გამოძიება გრძელდება.

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 41 წლის ვეფხვაძეს დაპირისპირება ძველ მეგობრებთან – ძმებ ფეიქრიშვილებთან და ნოდარ ნიშნიანიძესთან მოუვიდა, რომლებთანაც კონფლიქტი წლების განმავლობაში ჰქონდა.

დაპირისპირება გახოკიძის ქუჩაზე დაიწყო, შემდეგ კი რამდენიმე ავტომობილით მასში მონაწილე პირები ლისის ტბის მიმართულებით წავიდნენ, სადაც ვეფხვაძე, სავარაუდოდ, ერთ-ერთ ავტომობილში დაჭრეს.

ექიმების ინფორმაციით, ვეფხვაძეს გულ-მკერდის მარცხენა მხარეს, ასევე ბარძაყის ქვედა კიდურზე და წვივებზე 4 მძიმე ჭრილობა აქვს მიყენებული. პაციენტს 6 ოქტომბერს ქირურგიული ოპერაცია 3 საათის განმავლობაში უტარდებოდა, თუმცა ექიმების თქმით, დაახლოებით 72 საათია საჭირო იმისთვის, რომ ვეფხვაძის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით მათ პროგნოზების გაკეთება შეძლონ.

– პაციენტის მდგომარეობა არის მძიმე. სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა არის ამჟამადაც. ჭრილობები იყო სხვადასხვა სახის, ბევრ ადგილას იყო მიყენებული და სხვადასხვა თავისი სილრმით და დაზიანებით მრავალფეროვანი იყო საკმაოდ, რამაც გამოიწვია ასეთი დიდი სხეულის დაზიანება და დიდი სისხლის დანაკარგი, – თქვა კრიტიკული მედიცინის სამსახურის უფროსმა ლევან სუხიშვილმა.

საქმეში 10-მდე პირი ფიგურირებს, თავად გოჩა ვეფხვაძე კი ბმვ-ს მარკის ავტომობილში ცეცხლსასროლი იარაღითა და დანით დაჭრეს, ამის შემდეგ იგი უკვე მის საცხოვრებელ სახლთან მანქანით შარტავას ქუჩაზე ჩამოიყვანეს.

ნოდარ ნიშნიანიძე პოლიციას დაკავებული ჰყავს, ოღონდ სხვა საქმეზე. 2 თვეა, ნიშნიანიძე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება.

ფეიქრიშვილების ადვოკატი გიორგი ანთიძე ამბობს, რომ ძმებ ფეიქრიშვილებსა და მათ მეგობარ ნოდარ ნიშნიანიძეს გოჩა ვეფხვაძე საერთოდ არ იცნობდა და მის დაჭრასთან არც ერთ მათგანს არ აქვს შემხებლობა.

ადვოკატის ასევე უარყოფს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ 2015 წელს ვეფხვაძე სწორედ ამ ადამიანებმა დაჭრეს.

– ძმებ ფეიქრიშვილებს არანაირი შემხებლობა გუშინდელ დაჭრასთან დაკავშირებით არ ჰქონიათ, ისინი არც იცნობენ გოჩა ვეფხვაძეს. ნოდარ ნიშნიანიძე თავის დროზე დაკავებული იყო გოჩა ვეფხვაძის დაჭრის ბრალდებით, თუმცა წარდგენილ ბრალდებაში სასამართლომ სრულიად უდანაშაულოდ ცნო და ის გაამართლა. შესაბამისად, ნოდარ ნიშნიანიძეს აღნიშნულ ფაქტთან შემხებლობა ვერანაირად ვერ ექნებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის 2 თვეა, უკანონოდ დაკავებულია, – განაცხადა ადვოკატმა გიორგი ანთიძემ.

რუსთაველი ზურა დადეშელის მკვლელობა ესპანეთში დაიგეგმა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

* * *

გუშინ შსს-მ გაავრცელა განცხადება დანაშაულის გახსნის შესახებ.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, რუსთავში 35 წლის მამაკაცის მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ა. გარდა ამისა, ჯგუფურად ჩადენილი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებით დაკავებულები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლები – 1992 წელს დაბადებული მ.ღ. და 1981 წელს დაბადებული დ.მ. ამავე ბრალდებით, ასევე, დაკავებულია ყოფილი სამართალდამცველი – 1989 წელს დაბადებული დ.დ., ხოლო ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით დაკავებულია 1989 წელს დაბადებული გ.გ.

გამოძიებით დგინდება, რომ განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულმა გ.ა.-მ და მისმა თანამზრახველმა – 1983 წელს დაბადებულმა ზ.ჯ.-მ, წარსულში არსებული დაპირისპირებისა და შურისძიების მოტივით, 35 წლის მამაკაცის მკვლელობა დაგეგმეს. მსხვერპლის ქალაქიდან მოტყუებით გაყვანის მიზნით, მათ დახმარებისთვის მიმართეს ცრუ ჩვენებისთვის ბრალდებულ გ.გ.-ს, ორ პოლიციელს და ყოფილ სამართალდამცველს.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს გ.გ.-მ გლდანში თავის კუთვნილ ავტომობილში ჩაისვა 35 წლის მამაკაცი – დ.მ. გლდანში ავტომობილით მოძრაობის დროს, ისინი ვითომ შემთხვევით შეხვდნენ პოლიციის ფორმაში მყოფ სამ პირს. მათ ავტომობილიდან გადმოიყვანეს დ.მ., უკანონოდ აღუკვეთეს მას თავისუფლება, ჩაიყვანეს რუსთავში და გადასცეს ზ.ჯ.-ს და გ.ა.-ს.

აღნიშნულმა პირებმა დ.მ. ჩაიყვანეს მტკვრის ნაპირზე და ცივი იარაღით მიაყენეს მრავალობითი დაზიანება. კვალის დამალვის მიზნით, გარდაცვლილის ცხედარი მდინარე მტკვარში გადააგდეს. დ.მ.-ს ცხედარი 5 ოქტომბერს რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე მტკვარმა გამორიყა.

მომხდართან დაკავშირებით ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად უკვე დაკავებულია 5 პირი, ხოლო განზრახ მკვლელობაში მონაწილე, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი 1983 წელს დაბადებული ზ.ჯ.-ს დაკავების მიზნით ტარდება აქტიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ჯგუფურად ჩადენილი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის და ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტებზე გამოძიება სსკ-ის 109-ე, 143-ე და 370-ე მუხლებით მიმდინარეობს, – ნათქვამია განცხადებაში.

* * *

ნიუპოსტმა დაკავებული სამართალდამცველებისა და მოქმედი პოლიციელების ვინაობა დაადგინა.

სამივე პოლიციელი რუსთაველია. ერთერთი მათგანია 1992 წელს დაბადებული მიხეილ ღუბიანური.

დაკავებულები არიან ასევე 1989 წელს დაბადებული დიტო დუღაშვილი და 1981 წელს დაბადებული დავით მიროტაძე.

– როგორც ვიცი, ამ პოლიციელზე ადრეც იყო საჩივარი, მაგრამ ის საქმე ჩაიფარცხა, – უთხრა ინტერპრესნიუსს მიხეილ ღუბიანურის მეზობელმა.

თავად ღუბიანურის ოჯახის წევრები მედიასთან არ კონტაქტობენ.

– ამ პოლიციელს კარგი ოჯახი ჰყავს. მამა ყოფილი პოლიციელია, თვითონ მოქმედი პოლიციელი. მამას ძალიან აქუბენ, ამ ბიჭს ისე რა. თუ არ ვცდები, ადრეც იყო მასზე საჩივარი, მგონი, ცემასთან დაკავშირებით და მერე ეს საქმე ჩაიფარცხა, – განაცხადა მეზობელმა.

* * *

კურიერის ინფორმაციით, ზურა დადეშელის ლიკვიდაცია ესპანეთში დაიგეგმა. როგორც რუსთავი 2-ს წყარომ აცნობა, დაკავებული პოლიციელები ზაფხულში ესპანეთში იმყოფებოდნენ, სადაც კრიმინალურ ავტორიტეტებს შეხვდნენ და მისი ლიკვიდაციის დაკვეთა მიიღეს.

წყარო მომხდარის სავარაუდო მოტივს ასახელებს – ეს „ქურდული ობშიაკია“, რომელიც დადეშელმა მიითვისა. კურიერის ინფორმაციით, დადეშელი მისი შესაძლო ლიკვიდაციის შესახებ ინფორმირებული იყო და იარაღით დადიოდა.

კურიერისვე ინფორმაციით, პოლიციელებმა საქმეში 12.000 ლარი აიღეს.

გარდაცვლილის მეგობრის გიორგი გეთაშვილის მამა ჯონი ოქრუაშვილი დარწმუნებულია, რომ ამ საქმეში მისი შვილი გამოიყენეს და ის უდანაშაულოა.

– ჩაწყობილია კარტი, გამოიყენეს ეს უდანაშაულო ბავშვი. ძალიან ალალია, სიდედბილეშია გადასული სიალალე, და გამოიყენეს. კრიმინალი იყო ეს თუ ფორმიანი, ჩემი შვილი გამოიყენეს და ვადასტურებ, რომ არის უდანაშაულო.

გარდაცვლილი და ჩემი შვილი მეგობრები იყვნენ, ვიცი და ვადასტურებ და იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი შვილი იმას არ მოკლავდა, ეს იყო ზეწოლა, – განაცხადა ჯონი ოქრუაშვილმა.

ღია წერილი



ბიძინა!

ბალზაკმა თქვა, სიმართლე მწარე წამალია, არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენსო.

როდესაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ირჩევენ, არჩევნებს ესწრებიან ვეტერანი ფეხბურთელები, ვეტერანი მწვრთნელები, გულშემატკივრები, მსაჯები. მოკლედ, ერთი კვირა მიდის არჩევნები. კენჭისყრის შემდეგ ითვლიან რამდენიმე კანდიდატის ხმების რაოდენობას. ვინც მეტს ხმას მიიღებს, ის ინიშნება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად; შენ კი ყველა კანონის ავლით ნიშნავ შენი სიძის ძმისშვილს 4 კლასის განათლებით. ორჯერ დაგვისკუპე კანონის დარღვევით, როგორც კანონის დარღვევით აგვიფეთქე საყდრისი და გაზიდე მილიონობით ოქრო ისე, რომ ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ შეგიტანია. ეს არ არის კორუფცია?

როდემდე უნდა ძარცვო საქართველო?! მე კი, პენსიონერმა, ცხონებული დიდი ნოდარ ახალკაცის სკოლაში 180 სურათის სტენდი გავაკეთე ჩვენი სასიქადულო ვეტერანი ფეხბურთელების, კობიაშვილმა კი მითხრა: ეგ მე არ დამივალებიაო.

შე არაკაცო, ვინ დაგავალა, გრანტებს რომ ჭამ?! მალე მოვა ის დრო, შენ რომ სასამართლოზე ჩემზე კარგი მოწმე არ გეყოლება. უეფამ და ფიფამ ორჯერ გამოგზავნეს დადგენილება, კობიაშვილი დასაჭერიაო. საქართველოს ერის მოსიყვარულე კაცმა, ბატონმა სანდრო ბრეგაძემაც დაადასტურა, რომ ეგ კაცი ჩაწყობილ თამაშებს ყიდდა და ტოტალიზატორით აკეთებდა ფულს. ეს თვითონაც აღიარა. ამის შემდეგ რა უნდა ივანიშვილს საქართველოში; ყველაფერი გაზიდეს, თქვენ კი, ფულზე გაყიდულებო, ტკბილად იძინეთ. უსამართლობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ეს კაცი ზის და ერთობა პრემიერ-მინისტრების მოხსნა-დაყენებით. დათვალეთ, რამდენი პრემიერ-მინისტრი გამოცვალა. ხალხს რაც შეჰპირდი, არ შეგისრულებია. ისე, ძალიან მიხარია, ქალბატონი ნინო ბურჯანაძის ხსენებაზე ელეთმელეთი რომ მოგდის. უსაქმური კობიაშვილი იქნებ ნოტარიუსით „უიზნენად“ დაამტკიცო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად.

ბიძინა, შენ რაც გააკეთე, ამას სახელმწიფო ქონების მიტაცება ჰქვია.

ირაკლი (იბო) დოლიძე

2019, 8 ოქტომბერი, №238

უკრაინა შტაინმაიერის ფორმულის წინააღმდეგ

კიევსა და სხვა ქალაქებში მასობრივი გამოსვლები გაიმართა

შტაინმაიერის ფორმულაზე ხელის მოწერამ მთელი უკრაინა აღაშფოთა. კიევში საპროტესტო ვეჩე გაიმართა. მასში 30.000 ადამიანი მონაწილეობდა.

კიევის გარდა, საპროტესტო აქციები გაიმართა ლვოვში, ხარკოვში, ზაპოროჟიეში, ოდესაში, აგრეთვე დონბასის გათავისუფლებულ ტერიტორიებზე: კრამატორსკში, სლავიანკში და ა.შ. სულ შტაინმაიერის ფორმულა უკრაინის 20-მდე ქალაქში გააპროტესტეს.

კიევის ვეჩეზე უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკოც გამოჩნდა. ამან საფუძველი მისცა ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელ ბოგდანს, განეცხადებინა, რომ აქციები პოროშენკოს მიერ არის დაფინანსებული.

ეს, რასაკვირველია, ასე არ არის. უკრაინელი ხალხი შტაინმაიერის ფორმულის მიმართ ნეგატიურად არის განწყობილი. ამას თვით რუსი სოციოლოგების მიერ ჩატარებული კვლევებიც ადასტურებს.

– არავითარი დასავლეთ და აღმოსავლეთ უკრაინა არ არსებობს! არის ერთიანი უკრაინა, რომელიც დამოუკიდებლობის დასაცავად აღდგა! – განაცხადა „სვობოდას“ ლიდერმა ოლეგ ტიაგნიბოკმა.

კიევის საპროტესტო აქციების ფონზე კრემლმა ახალი მოთხოვნები წამოაყენა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ უკრაინამ შტაინმაიერის ფორმულის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს კანონი, რომელიც დონბასის განსაკუთრებულ სტატუსს დააკანონებს. საუბარია საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომლებმაც უკრაინის ფედერალიზაცია უნდა განაპირობოს.

– სხვაგვარად ნორმანდიული სამიტის შეხვედრას არ დავესწრებით, – აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ამრიგად, პრეზიდენტი ზელენსკი ორმაგი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მასზე ზეწოლას რუსეთი ახორციელებს, რათა უკრაინის ფედერალიზაცია მოახდინოს, მეორე მხრივ, ზელენსკის აწვება საკუთარი მოსახლეობა, რომელსაც ეს ფედერალიზაცია არ სურს.

ფედერალიზაციას მხარს უჭერს უკრაინის მოსახლეობის მხოლოდ 3%. უკრაინელთა 87% კი მზად არის, მონაწილეობა მიიღოს საპროტესტო აქციებში, თუ ხელისუფლება ფედერალიზაციას ძალით მოახვევს თავს.

ის ფაქტი, რომ დღეს უკრაინაში ყოველ მეორე მოქალაქეს ცეცხლსასროლი იარაღი გააჩნია, ფრიად საგანგაშო სურათს ქმნის. თუკი ხელისუფლებამ საპროტესტო აქციების დარბევა განიზრახა, ეს დიდი სისხლით დასრულდება.

თავად ზელენსკიმ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ დონბასში არჩევნები მანამ არ ჩატარდება, სანამ რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე უკრაინელთა კონტროლი არ დამყარდება. საკონსტიტუციო ცვლილებებიც პრეზიდენტმა კატეგორიულად გამორიცხა.

ამ გამოსვლამ მოსკოვი აღაშფოთა. პუტინის ნათესავმა და უკრაინის პრორუსული ლობის ლიდერმა ვიქტორ მედვედჩუკმა განაცხადა:

– ზელენსკი ბრბოს ელაქუცებაა! აჯობებდა, ქუჩაში ისინი გამოეყვანა, ვინც დონბასში მშვიდობის აღდგენას მხარს უჭერს!

ამასობაში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ ვადიმ პრისტაიკოს თქმით, შეთანხმება სოფელ პეტრივსკიდან ჯარების გაყვანის თაობაზე გადაიდო, რადგანაც რუსეთის მხარდაჭერილმა ძალებმა ცეცხლი გახსნეს.

– ჯარების გაყვანა 7 ოქტომბერს უნდა დაწყებულიყო. ამაზე მინსკში შევთანხმდით. სამწუხაროდ, თქვენ იცით, რომ პეტრივსკისა და ზოლოტის სოფლები დაიბომბა. როგორც გახსოვთ, ძალების გაყვანა მშვიდობის დამყარებიდან მეშვიდე დღეს უნდა დაწყებულიყო, – განუცხადა პრისტაიკომ უკრაინულ მედიას.

მისივე თქმით, „აუცილებელია, კიდევ მორიგი 7 დღეს დავიცადოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ მხარეებს სერიოზული განზრახვები და სამომავლო გეგმები აქვთ“.

1 ოქტომბერს უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ დონბასის სოფლებიდან, პეტრივსკიდან და ზოლოტიდან, ჯარებს გაიწვევდა.

აშშ ევროპაში 25 წლის განმავლობაში ყველაზე მასშტაბურ სამხედრო წვრთნებს აანონსებს

შეერთებული შტატების სამხედრო ძალების წარმომადგენლობა ევროპაში ბოლო 25 წლის განმავლობაში ყველაზე დიდ სამხედრო წვრთნებს, სახელწოდებით „დიფენდერ 2020“ აანონსებს.

ინფორმაციას გერმანული „შპიგელი“ ავრცელებს, რომლის თანახმად, აშშ პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში 37.000 ამერიკელ ჯარისკაცს გაგზავნის.

სამხედრო წვრთნების მიზანია ნატოს მზადყოფნის ზრდა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

სამხედრო წვრთნების ლოჯისტიკური ჰაბი გერმანია იქნება. წვრთნები აპრილსა და მაისშია დაგეგმილი და მასში მონაწილეობას 19 სახელმწიფო მიიღებს.

წვრთნებში მონაწილე ჯარები გერმანიის ბუნდესვერის მხარდაჭერით ისარგებლებენ.

ერაყი: სისხლიანი შეტაკებები გრძელდება

ერაყში სისხლიანი შეტაკებები არ წყდება. ხელისუფლებამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ჯარი გამოიყვანა. მანიფესტანტებს ცეცხლი საბრძოლო იარაღიდან გაუხსნეს. პასუხად დემონსტრანტებმა ძალოვნებს სანადირო თოფებიდან და რევოლვერებიდან დაუშინეს ტყვიები. საპროტესტო აქციები მთელ ქვეყანას მოედო. სისხლიანი შეტაკებებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხდება.

თანახმად ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა, მოკლული დემონსტრანტების რიცხვმა 100-ს მიაღწია. საპასუხო ცეცხლის შედეგად დაღუპულია 8 ძალოვანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

დინამოელთა ფრე ბათუმელთა სასარგებლოდ

დინამო (ბთ)-დინამო (თბ) 1:1

ბათუმი. ანგისა

1:0 ფლამარიონი (55პ), 1:1 მჭედლიძე (83)

დინამო (ბთ): ალავიძე, გეგეჭკორი, კობახიძე, გაგოშიძე, ნავალოვსკი, ტეიდი, მანჯგალაძე (ჯიღაური 86), მამუჩაშვილი, რამოსი, ფლამარიონი, დვალიშვილი (გაფრინდაშვილი 88)

დინამო (თბ): პერალესი, მონხილი, კობოური, ქიმაძე, იაშვილი, კაპლიენკო, ნინუა, ზარია (მჭედლიძე 79), დაფე (კუხიანიძე 70), პაპავა, კარიკარი (შიშკა 90)

ეროვნული ლიგის 30-ე ტურის ცენტრალური მატჩი ბათუმში, ანგისას ბაზაზე ჩატარდა, სადაც ადგილობრივმა დინამომ თბილისის დინამოს უმასპინძლა და შეხვედრა ფრედ – 1:1 დასრულდა.

პირველი ტაიმი ბათუმელთა უპირატესობით წარიმართა, მეორე ტაიმის დაწყებიდან მალევე, 56-ე წუთზე ჯოვინოს დარტყმული გიორგი პაპავას ხელზე მოხვდა და თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, რომელიც ბრაზილიელმავე თავადვე გაიტანა და მიმდინარე სეზონში მე-15 გოლი მიითვალა.

თბილისელებს მთელი მატჩი კარში არ ჰქონდათ დარტყმული, თუმცა გიორგი ზარიას ნაცვლად 79-ე წუთზე შემოსული ლევან მჭედლიძის ბურთთან პირველივე შეხება 83-ე წუთზე გოლით დასრულდა – დინამოს ახალწვეულმა კაპლიენკოს პასით გაიტანა.

დარჩენილ დროში ბათუმელები სახიფათოდ უტევდნენ, თუმცა გოლი აღარ გასულა.

ეროვნული ლიგის მიმდინარე გათამაშების დასრულებამდე 6 ტური დარჩა, ორივე დინამოს თანაბარი ქულების რაოდენობა აქვს. თუ გუნდები ასე მივიდნენ ფინიშამდე, უპირატესობა ზღვისპირელთა მხარეს იქნება, რადგან ურთიერთშეხვედრებში სჯობნიან მეტოქეს. აქამდე ჩატარებულ 4 მატჩში 2 აჭარლებმა მოიგეს, ერთი – დედაქალაქელებმა და ერთიც ფრედ დასრულდა.

შეხვედრას მარსელ ბირსანის ხელმძღვანელობით რუმინელ მსაჯთა ბრიგადა ემსახურებოდა.

რუსთავი-საბურთალო 0:3

ხუსთავი. ტექნიკური ცენტრი

0:1 ხოლოვიჩი (26), 0:2 ჯოხიძე (49), 0:3 გაბედავა (61)

რუსთავი: მამარდაშვილი, სილაგაძე, გუჯაბიძე, ნოზაძე, თევზაძე (სალუქვაძე, 73), ბაირამოვი, ვასაძე, ძალამიძე, კიტეიშვილი, ლეჟავა (სიჭინავა, 57), იმნაძე (მეტრეველი, 76)

საბურთალო: მიგინეიშვილი, ჩაბრაძე, კაკუბავა, რეხვიაშვილი, ლაკვეხელიანი (დიასამიძე, 57), ცნობილაძე, ალთუნაშვილი, ტაბატაძე (გაბედავა, 52), გიი, კოხრეიძე (ტერა, 70), როლოვიჩი

გაძევება: ტერა (84)

საბურთალო რუსთავს“ ესტუმრა და 3:0 აჯობა. პირველ ტაიმში ოგნიენ როლოვიჩმა დააწინაურა ქალაქელები. მე-2 ნახევრის დებიუტში გიორგი კოხრეიძემ ორამდე გაზარდა ანგარიში, ხოლო მატჩს საბოლოო წერტილი გიორგი გაბედავამ დაუსვა.

შეხვედრა გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდის უპირატესობით დაიწყო და მთელი მატჩის განმავლობაში ასე გაგრძელდა.

ბოლოსკენ საინტერესო ის მოხდა, რომ მატჩის 84-ე წუთზე მთავარმა არბიტრმა არსენ ნონიკაშვილმა

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკო-ბიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

დინამოელთა ფრე ბათუმელთა სასარგებლოდ

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ცვლილებაზე შესულ ელვინ ტერას წითელი ბარათი უჩვენა და ვადაზე ადრე დაატოვებინა მინდორი.

ამ მოგებით საბურთალომ 57 ქულა დააგროვა და ლიდერებს ბათუმისა და თბილისის დინამოებს საფეხურზე მყოფ გუნდებს 5 ქულით ჩამორჩება.

სიონი-დილა 0:4

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

0:1, 0:2 კუცია (47, 64), 0:3, 0:4 ფორტესი (66პ, 79)

სიონი: გოშაძე, ჩაჩუა, თარხნიშვილი, ხმალაძე, კახაბრიშვილი (სუხიაშვილი 57), ტატანაშვილი, თარგამაძე, ჯაფიაშვილი, აფაქიძე, გვარაძე (უგულავა 46), ივანიშვილი (უგრეხელიძე 77)

დილა: ჩოჩიშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, ჩადუნელი, რაზმაძე (ქურდაძე 77), ფორტესი, კუცია, იენდეუნტი, გაგნიძე (ლემფტი 65), გოშთელიანი, პაიმი (სპანდერაშვილი 46)

ბოლნისის სიონმა საკუთარ მოედანზე გორის დილა მიიღო და გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა. გიორგი ნემსაძის გუნდმა ეროვნულ ლიგაში ზედიზედ მე-3 მატჩი მოიგო.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. სახიფათო მომენტების მიუხედავად, რომელიც ორივე გუნდის კარში შეიქმნა, ანგარიში არ გახსნილა. განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია ბოლნისელთა მხრიდან შექმნილი საგოლე სიტუაციები, თუმცა სტუმართა მეკარემ კარი მშრალად შეინახა.

მატჩის მე-2 ტაიმი კი აბსოლუტურად განსხვავებული აღმოჩნდა. სტუმრებმა უპირატესობა მოიპოვეს და სიონის კარში 4 გოლის გატანა შეძლეს.

ანგარიში გიორგი კუციამ 47-ე წუთზე ეფექტური გოლით გახსნა. 64-ე წუთზე ორამდე უპირატესობა მანვე გაზარდა და ეროვნულ ლიგაში პირველი დუბლი მიითვალა.

დუბლის ავტორი გახდა გორელთა ლეგიონერი ალვინ ფორტესიხ. ჰოლანდიელმა ჯერ 66-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმა გამოიყენა ზუსტად, ხოლო 79-ე წუთზე სეზონის ერთ-ერთი ულამაზესი ბურთი შეაგდო და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

ამ დროისთვის ბოლნისის სიონი 31 ქულით მე-9 ადგილზე რჩება, ხოლო გორის დილამ 37 ქულა დააგროვა და გათამაშების ცხრილში მე-6 პოზიციაზეა.

ლოკომოტივი-ტორპედო 2:0

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0, 2:0 კირკიტაძე (40, 54)

ლოკომოტივი: ბულისკერია, გურეშიძე, ჭანტურია, გაბაძე, უბილავა, შონია, გვალია, დ.კირკიტაძე, ინჯგია (შეყილაძე 83), დარცმელია (სამურკასოვი 89), სიხარულიძე (ჯიქია 81)

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ნებიერიძე (ჩოგაძე 46), ჭიჭინაძე, ხურცილავა, ნადარაია, ჩუკვურა, ცეცხლაძე, ფონიავა (იონანიძე 59), დოლიძე, ციცქიშვილი (მოსიაშვილი 60)

მიხეილ მესხის სახელობის არენაზე ლოკომოტივი ქუთაისის ტორპედოს დაუხვდა, 2:0 მოუგო და სატურნირო ცხრილში გადაასწრო.

ზედიზედ 3 წაგებული შეხვედრის შემდეგ დედაქალაქელებმა 3 ქულის მოპოვება მოახერხეს. ლოკომოტივის რიგებში გატანილი გოლებით დავით კირკიტაძე გამოირჩა, რომელმაც სტუმართა კარი 2-ჯერ, მე-40 და 54-ე წუთებზე აიღო.

30 ტურის შემდეგ ლოკომოტივს 40 ქულა დაუგროვდა და მე-4 ადგილს იკავებს. ამდენივე ქულა აქვს ქუთაისის ტორპედოს და სატურნირო ცხრილში მე-5 პოზიციაზეა.

ჩიხურა-ვიტ ჯორჯია 2:1

ივანწმინდა. ცენტრალური

1:0 კორიფაძე (2პ), 1:1 მუსელიანი (70პ), 2:1 კორიფაძე (89პ)

ჩიხურა: ჰამზიჩი, მაისაშვილი, კაშია, მეგრელიშვილი (ჩიტეიშვილი, 55), კორიფაძე, ჩიხლაძე (მარკოზაშვილი, 53), ჩიკვაიძე, დეკანოიძე, ლექვთაძე (ფანცულაია, 77), მუმლაძე, სარდალიშვილი

ვიტ ჯორჯია: ისერგიშვილი, ქისიევი, სეხნიაშვილი, ჩიტიშვილი, კიკალიშვილი, ნემსაძე, ნანობაშვილი (ჯანელიძე, 58), ზარიძე, თათხაშვილი (ვაზაგაშვილი, 58), მუსელიანი, მაქაცარია (ნაჭყებია, 87)

მასპინძლებს მხსნელად მცველი გიორგი კორიფაძე მოევლინა, რომელმაც ჯერ მე-2 წუთზე გაიტანა პენალტი, ხოლო მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე მეორედაც ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი.

თუმცა ამ მატჩში პენალტები მარტო საჩხერელთა სასარგებლოდ არ დანიშნულა – 70-ე წუთზე მაისაშვილმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და მუსელიანმა პენალტი ზუსტად შეასრულა.

თუმცა ვიტელებმა ვერ შეინარჩუნეს ანგარიში...

ამ გამარჯვების შემდეგ კი საჩხერელებმა გასავარდნ ზონას თავი დააღწიეს და მე-7 პოზიციაზე გადაინაცვლეს. მე-4 ადგილზე მყოფ ლოკომოტივს ჩიხურა 5 ქულით ჩამორჩება.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	30	19	5	6	51-25	62
2.დინამო (თბ)	30	19	5	6	62-28	62
3.საბურთალო	30	17	6	7	54-31	57
4.ლოკომოტივი	30	12	4	14	36-42	40
5.ტორპედო	30	11	7	12	48-45	40
6.დილა	30	10	7	13	34-38	37
7.ჩიხურა	30	8	11	11	37-36	35
8.რუსთავი	30	8	10	12	32-45	34
9.სიონი	30	8	7	15	32-69	31
10.ვიტჯორჯია	30	4	6	20	13-40	18

შედეგები

6 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-ბორნმუთი 1:0
სიტი-ვულვზი 0:2
საუთჰემპტონი-ჩელსი 1:4
ნიუკასლი-მანჩესტერი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	8	8	0	0	20-6	24
2.სიტი	8	5	1	2	27-9	16
3.არსენალი	8	4	3	1	13-11	15
4.ლესტერი	8	4	2	2	14-7	14
5.ჩელსი	8	4	2	2	18-14	14
6.კრ.პალასი	8	4	2	2	8-8	14
7.ბარნლი	8	3	3	2	11-9	12
8.ვესტ ჰემი	8	3	3	2	11-11	12
9.ტოტენჰემი	8	3	2	3	14-12	11
10.ბორნმუთი	8	3	2	3	13-13	11
11.ვულვზი	8	2	4	2	11-11	10
12.მანჩესტერი	8	2	3	3	9-8	9
13.შეფილდი	8	2	3	3	7-7	9
14.ბრაიტონი	8	2	3	3	8-10	9
15.ასტონ ვილა	8	2	2	4	13-12	8
16.ნიუკასლი	8	2	2	4	5-13	8
17.საუთჰემპტონი	8	2	1	5	8-15	7
18.ევერტონი	8	2	1	5	6-13	7
19.ნორვიჩი	8	2	0	6	10-21	6
20.უოტფორდი	8	0	3	5	4-20	3

გერმანია. ბუნდესლიგა

გლადბახი-აუგსბურგი 5:1
ვოლფსბურგი-უნიონი 1:0
აინტრახტი-ვერდერი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.გლადბახი	7	5	1	1	15-6	16
2.ვოლფსბურგი	7	4	3	0	10-4	15
3.ბაიერნი	7	4	2	1	20-8	14
4.ლაიფციგი	7	4	2	1	15-7	14
5.ფრაიბურგი	7	4	2	1	15-7	14
6.შალკე	7	4	2	1	14-7	14
7.ლევერკუზენი	7	4	2	1	12-8	14
8.დორტმუნდი	7	3	3	1	19-11	12
9.აინტრახტი	7	3	2	2	11-10	11
10.ჰერტა	7	3	1	3	12-12	10
11.ვერდერი	7	2	2	3	12-16	8
12.ჰოფენჰაიმი	7	2	2	3	6-11	8
13,მაინცი	7	2	0	5	7-17	6
14.აუგსბურგი	7	1	2	4	8-19	5
15.ფორტუნა	7	1	1	5	9-14	4
16.უნიონი	7	1	1	5	6-13	4
17.კიოლნი	7	1	1	5	5-16	4
18.პადერბორნი	7	0	1	6	9-19	1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ნიურნბერგი-ზ.პაული 1:1
ჰაინდეჰაიმი-ბოხუმი 2:3
კილი-რეგენსბურგი 1:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

მალიორკა-ესპანიოლი 2:0
სელტა-ბილბაო 1:0
ვალიადოლიდი-ატლეტიკო 0:0
სოსიედადი-ხეტაფე 1:2
ბარსელონა-სევილია 4:0

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	8	5	3	0	16-8	18
2.ბარსელონა	8	5	1	2	20-10	16
3.ატლეტიკო	8	4	3	1	7-4	15
4.გრანადა	8	4	2	2	15-10	14
5.სევილია	8	4	1	3	10-11	13
6.სოსიედადი	8	4	1	3	13-9	13
7.ვალენსია	8	3	3	2	12-12	12
8.ბილბაო	8	3	3	2	7-4	12
9.ლევანტე	8	3	2	3	10-10	11
10.ოსასუნა	8	2	5	1	7-7	11
11.ვილიარეალი	8	3	2	3	19-13	11
12.ხეტაფე	8	2	4	2	12-12	10
13.ვალიადოლიდი	8	2	4	2	7-8	10
14.ეიბარი	8	2	3	3	10-10	9
15.სელტა	8	2	3	3	5-9	9
16.ბეტისი	8	2	3	3	11-16	9
17.ალავესი	8	2	2	4	5-9	8
18.მალიორკა	8	2	1	5	6-12	7
19.ესპანიოლი	8	1	2	5	4-14	5
20.ლეგანესი	8	0	2	6	4-12	2

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ფუელაბრანდა-ხიხონი 2:0
ოვიედო-ნუმანსია 1:1
სარაგოსა-კადისი 0:2
დეპორტივო-ალმერია 0:0
უესკა-მალაგა 2:0
რასინგი-ხირონა 0:3

იტალია. სერია ა

ფიორენტინა-უდინეზე 1:0
ატალანტა-ლეჩე 3:1
ბოლონია-ლაციო 2:2
რომა-კალიარი 1:1
ტორინო-ნაპოლი 0:0
ინტერი-იუვენტუსი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	7	6	1	0	13-6	19
2.ინტერი	7	6	0	1	14-4	18
3.ატალანტა	7	5	1	1	18-10	16
4.ნაპოლი	7	4	1	2	15-10	13
5.რომა	7	3	3	1	12-10	12
6.ლაციო	7	3	2	2	13-6	11
7.კალიარი	7	3	2	2	10-7	11
8.ფიორენტინა	7	3	2	2	12-10	11
9.ტორინო	7	3	1	3	10-10	10
10.ვერონა	7	2	3	2	6-5	9
11.ბოლონია	7	2	3	2	9-9	9
12.პარმა	7	3	0	4	8-10	9
13.მილანი	7	3	0	4	6-9	9
14.უდინეზე	7	2	1	4	3-6	7
15.სასუოლო	6	2	0	4	11-12	6
16.ბრეშა	6	2	0	4	7-9	6
17.სპალი	7	2	0	5	6-13	6
18.ლეჩე	7	2	0	5	7-15	6
19.ჯენოა	7	1	2	4	8-15	5
20.სამპდორია	7	1	0	6	4-16	3

იტალია. სერია ბ

კრემონეზე-ჩიტადელა 0:2
სალერნიტანა-ფროზინონე 1:1
ასკოლი-პესკარა 0:2

საფრანგეთი. ლიგა 1

ლილი-ნიმი 2:2
რენი-რეიმსი 0:1
სტ.ეტიენი-ლიონი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	9	7	0	2	17-4	21
2.ნანტი	9	6	1	2	9-5	19
3.ანჟე	9	5	1	3	16-15	16
4.ბორდო	9	4	3	2	15-10	15
5.ლილი	9	4	3	2	13-9	15
6.რეიმსი	9	4	2	3	8-4	14
7.მონპელიე	9	4	2	3	9-7	14
8.ნიცა	9	4	1	4	12-13	13
9.მარსელი	9	3	4	2	10-11	13
10.რენი	9	3	3	3	8-7	12
11.ამიენი	9	3	2	4	12-14	11
12.ბრესტი	9	2	5	2	10-13	11
13.სტ.ეტიენი	9	3	2	4	8-13	11
14.ლიონი	9	2	3	4	14-9	9
15.ნიმი	9	2	3	4	9-11	9
16.მონაკო	9	2	3	4	15-19	9
17.სტრასბური	9	2	3	4	6-10	9
18.ტულუზა	9	2	3	4	9-15	9
19.დიჟონი	9	2	2	5	5-10	8
20.მეცი	9	2	2	5	8-14	8

ჰოლანდია. ერედივიზიონი

დენ ჰააგი-აიაქსი 0:2
სიტარდი-ფეინოორდი 4:2
ტილბურგი-ალმაარი 1:1
პსვ-ვენლო 4:1

რუსეთი. პრემიერლიგა

ურალი-ზენიტი 1:3
ლოკომოტივი-არსენალი 2:1
ცსკა-როსტოვი 1:3
კრასნოდარი-სპარტაკი 2:1

შვეიცარია. სუპერლიგა

სტ.გალენი-ბაზელი 0:0
სიონი-ლუგანო 1:2
ციურიხი-იანგ ბოიზი 0:4

შოტლანდია. პრემიერლიგა

ლივენგსტონი-სელტიკი 2:0
რეინჯერსი-ჰამილტონი 5:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-სტ.პოლენი 4:0
ჰარტბერგი-ლინცერი 1:2
აუსტრია-შტურმი 1:0

ბელგია. ა დივიზიონი

ბრიუგე-გენტი 4:0
ანტვერპენი-სტანდარდი 2:2
გენკი-მუსკრონი 2:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

ვოლოსი-ატრომიტოსი 2:3
ასტერასი-პაოკი 1:2
ოფი-პანიონიოსი 4:1

პანიონისის გოლი

ბაჩანა არაბულმა გაიტანა

არისი-ოლიმპიაკოსი 1:2

თურქეთი. სუპერლიგა

სივასი-ანკარაგიუჯიუ 3:1
ბეშიქთაში-ალანია 2:0
გაზიანთეპი-ბაშაქშეჰირი 1:2
რიზე-ტრაბზონი 1:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ჩესკე-ბოჰემიანსი 3:2
ბოლესლავი-პლზენი 2:1
იაბლონეცი-სლავია 0:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლოძი-კორონა 4:1
კრაკოვია-გურნიკი 1:1
პიასტი-ლეგია 2:0

უკრაინა. პრემიერლიგა

დნიპრო-შახტარი 0:2
კოლოსი-დინამო 0:4
ოლექსანდრია-კარპატი 2:1

დანია. სუპერლიგა

ესბიერგი-სონდერიისკე 1:2
ბრონდბიუ-კოპენჰაგენი 3:1
ოდენსე-ჰორსენსი 3:0
რანდერსი-ორხუსი 2:0
სილკებორგი-მიდტიულანდი 1:2

შვედეთი. ალსვენსკა

კალმარი-ესკილსტუნა 0:0
ჰაკენი-ესტერსუნდი 1:1
დიურგარდენი-ჰამარბი 1:2
მალმიო-გიოტებორგი 1:0
ელფსბორგი-ფალკენბერგი 4:0

ნორვეგია. ელიტსერია

ლილესტრიომი-ბოდო გლიმდტი 0:0
რანჰეიმი-სარპსბორგი 0:2
სტაბეკი-ვიკინგი 0:0
ტრომსო-კრისტიანსუნდი 5:0
ჰაუგესუნდი-რუსენბორგი 2:1
ბრანი-მიოლდე 0:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

სამშობიარო სახლის „იმედის კლინიკისა“ და პედიატრიული საავადმყოფოს თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ ბავშვთა ექიმ ეთო ივანელაშვილს გარდაეცვალა მამა

ელდარ ივანელაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

სამშობიარო სახლის „იმედის კლინიკისა“ და პედიატრიული საავადმყოფოს თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ ექიმ მაია ბოდოკიას გარდაეცვალა მამამთილი

ჩიტო კაკუშაძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ქარის მიმართულების მაჩვენებელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 2. სატანვარჯიშო სკოლა ძველ საბერძნეთში; 3. ერთკუზიანი აქლემი; 4. ტრამვაის მძღოლი; 5. სპორტის სათამაშო სახეობა; 10. ფრანგი მოდელიერი ქალი; 11. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 12. ალუმინის შემცველი მადანი; 13. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 16. ლატვიის ისტორიული სახელწოდება; 17. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 19. ნადირთა მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ფრანგული მინერალური წყალი; 23. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი.

თარაზულად: 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 7. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 8. ეთიოპიის მმართველთა ტიტული; 9. ტყავის დამამუშავებელი საამქრო ძველად; 14. ქართველი ასტროლოგი; 15. ორკუზიანი აქლემი; 18. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 20. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. სან-რემოს კინოფესტივალის გრან-პრის მფლობელი აბულაძის მხატვრული ფილმი; 24. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 25. ვინმეს ან რამის გადაჭარბებული თაყვანისცემა; 26. უბანი ძველ თბილისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პერანგი; 3. მეტალი; 8. ბარაქა; 9. ციგა; 14. ამაგი; 15. აზდაკი; 17. ნევა; 20. ბანზაი; 22. ნავთი; 23. მაკარი; 25. ენა; 26. ალტი; 27. ლემა; 28. პარტიზანი.

შვეულად: 1. პიცა; 2. ინა; 3. მასშტაბი; 4. ლი; 5. მარაკანა; 6. ლავა; 7. კარმენი; 10. გემი; 11. რედინგოტი; 12. სინეკურა; 13. აზრი; 16. სამანი; 18. ევტერპე; 19. ამინდი; 21. ავიზო; 24. რუპია.

სკანვორდის პასუხები:

1. კოლუმბი; 2. ლომი; 3. მერიმე; 4. რომბი; 5. დონი; 6. ამია; 7. უნია; 8. პერი; 9. აკადემიკოსი; 10. მინდია; 11. პერუ; 12. იადონი; 13. ტოკატა; 14. დატივი; 15. კამელია; 16. შარლ; 17. კაა; 18. ინა; 19. ბუი; 20. ძუა; 21. აპრიორი; 22. არაუკარია; 23. პალიტრა; 24. ტიტული; 25. ზორბა; 26. ვიზავი; 27. ინკასო; 28. როკოკო; 29. ილი; 30. ილიადა; 31. კორტი; 32. კავატინა; 33. ბილ.

სურათებზე: შერილ კოული; არტურო ვიდალი.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9657
ევრო — 3.2572
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6582
100 რუსული რუბლი — 4.5763

ამინდის პროგნოზი 8 ოქტომბერი

20183112196 48

8 ოქტომბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

თამარს უამბო დედამ

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

ბაზალეთისა ტბის ძირას

წიგნი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„შინდისის“ ამერიკული პრემიერა 13 ოქტომბერს გაიმართება

რეჟისორ დიტო ცინცაძის მიერ შინდისის გმირებზე გადაღებული მხატვრული ფილმის „შინდისის“ ამერიკული პრემიერა 13 ოქტომბერს „ჰერტლანდფილმის“ საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარ კონკურსზე გაიმართება.

11 ოქტომბერს კი საქართველოს მიერ ოსკარზე წარდგენილი ფილმის ევროპული პრემიერა შედგება. ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარ კონკურსში დიტო ცინცაძის ნამუშევარს აჩვენებენ.

„შინდისი“ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე გადაღებული ფილმია. მისი ნახვა საქართველოს კინოთეატრებში უკვე შესაძლებელია.

„შინდისი“ გვიყვება სოფელზე, რომელშიც ომმა გაიარა. ეს არის რეალურად მომხდარი ამბავი ჩვენი დროის კავკასიური ომიდან, ადგილობრივი გლეხების თავდადება და ჩასაფრებაში მომწყვდეული ჯარისკაცების ბრძოლა სიცოცხლისთვის.

მამუკა ჩარკვიანმა ქობულეთში გამართულ კონცერტზე იტირა

მომღერალმა მამუკა ჩარკვიანმა ქობულეთში გამართულ კონცერტში მიიღო მონაწილეობა. მან მსმენელისთვის თავისი ერთ-ერთი ჰიტი „სიმღერას ჰგავს ჩემი ტირილი“ შეასრულა.

ეტლში მჯდომმა მამუკა ჩარკვიანმა ცრემლები ვეღარ შეიკავა და სიმღერის დროს ატირდა. გადავსებული დარბაზი სოლიდარობის ნიშნად მომღერალს ფეხზე წამოუდგა და მხურვალე აპლოდისმენტებითა და ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 ოქტომბრისათვის

ვერძი – დღეს ნათესავებისა და მეგობრების წრეში დროს სასიამოვნოდ გაატარებთ. დღის მეორე ნახევარში იფრთხილეთ, რადგან გარშემომყოფებთან კონფლიქტია მოსალოდნელი. **კურო** – სამსახურშიც და სახლშიც სტაბილური სიტუაციაა. ვარსკვლავები გაფრთხილებენ – რეალობა საღად შეაფასეთ და ილუზიებს ნუ აჰყვებით. **ტყუპები** – სახიფათო და დაძაბული დღეა. გულმოდგინედ შემუშავებული გეგმები შესაძლოა სხვისი გავლენის გამო შეგეცვალოთ. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებს ეჭვის თვალით უყურებთ. გგონიათ, რომ თქვენს ცხოვრებაში ყველა ცხვირს ყოფს. გირჩევთ, განმარტოვდეთ და საკუთარ თავს ჩაულრმავდეთ. **ლომი** – დღეს ნათესავებისა და მეგობრების წრეში დროს სასიამოვნოდ გაატარებთ. დღის მეორე ნახევარში იფრთხილეთ, რადგან გარშემომყოფებთან კონფლიქტია მოსალოდნელი. **ქალწული** – წინა დღეების კონფლიქტური ფონი ფერმკრთალდება. ჰარმონიის გზას ადგახართ. სამსახურთან და დასვენებასთან დაკავშირებით გეგმები თამამად შეიმუშავეთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. მშვენიერი სქესის წარმომადგენლები მეუღლის ან თაყვანისმცემლის ყურადღებას გრძნობთ. **ღრიანკალი** – ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ შორეულ მგზავრობას. მარტო ნუ დარჩებით. **მშვილდოსანი** – იყავით წინდახედული, ნუ იქნებით უკმეხი, ერიდეთ მკვეთრ გამონათქვამებს. საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება და თავქარიანობა მიზნის მიღწევაში ხელს გიშლით. **თხის რქა** – დღეს არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ რადიკალური გადაწყვეტილებები. პირად ცხოვრებაში, სავარაუდოდ, სირთულეებს ელოდეთ. **მერწყული** – იზრდება თქვენი მომხიბვლელობა, სექსუალურობა, ასევე – შემოქმედებითი უნარი. კეთილისმყოფელი დღეა სოციალური და შემოქმედებითი კონტაქტებისათვის. **თევზები** – ექსტრავაგანტურობის მოყვარულებს დიდი ხნის ოცნება გისრულდებათ. ახალი იდეების განხორციელებისათვის შესაფერისი პერიოდია.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ბორდელში შესული მამაკაცი ქალის შერჩევითაა დაკავებული. ამ დროს პოლიცია შემოვარდა.

– შენ ვინ ხარ, მეძავი? – ეკითხებიან ერთ ქალს.

– არა, მასაჟისტი ვარ!

– შენ? – ეკითხებიან მეორეს.

– მე პედიკიურს ვაკეთებ!

– და შენ ვინ ხარ? – ეკითხებიან მესამეს.

– დამლაგებელი...

ამ დროს მამაკაცმა ვეღარ მოითმინა:

– გაგიჟდება კაცი! როგორც ჩანს, ბოლოს ისე გამოვა, რომ მე ვიქნები მეძავი!

●●●

პარკში მამაკაცი სკამზე გვერდით მჯდომ ქალს ეკითხება:

– ვინმე თქვენს ქუდზე რომ დამჯდარიყო, რომელიც თქვენ გვერდით სკამზე დადეთ, რას ეტყოდით?

– რომ უტვინო და თავხედია და რატომ მეკითხებით?

– ჩემს ქუდზე ზიხართ.

●●●

ორი მამაკაცი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– ხომ არ იცი, რატომ გაძვირდა მატარებლისა და თვითმფრინავის ბილეთები?

– იმიტომ, რომ მათ ღირებულებაში უკვე სარიტუალო მომსახურებაც შევიდა.

●●●

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს ეუბნება:

– უკაცრავად, საფულე სახლში დამრჩენია. ჩემს ცოლს დაგიტოვებთ, სახლში გავიქცევი და ფულს მოვიტან.

– და სხვა რამეს ვერ დატოვებდით, მაგალითად, საათს?

– რა, ჩემი მეუღლე გეცოტავებათ?

– იცით რა, სახლში ერთი ასეთი უკვე მყავს და...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ფოტოსურათზე ამ ადამიანს ხედავ?

– ვხედავ.

– ჰოდა, საღამოს ექვს საათზე საბავშვო ბაღიდან წამოიყვან!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა თუ მეტყვი, რა საერთოა მეძავებსა და ტაქსის მძღოლებს შორის?

– ჯერ გეკითხებიან „სად?“ და შემდეგ ფასს გეუბნებიან.

●●●

აგარაკზე ძაღლი ყურშა მიწას ბარავს. მეზობლის ძაღლი გაოგნებული უყურებს. ყურშამ მისი მზერა შენიშნა და ეუბნება:

– ეეჰ, ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მესულელმა ფლოსტების მიტანა ვისწავლე.

გვარდიოლა: „შეგვიძლია, ლივერპულს დავეწიოთ“

მანჩესტერ სიტი საკუთარ მოედანზე ვულვერჰემპტონთან დამარცხდა 0:2 და ამ მარცხის შემდეგ გვარდიოლას გუნდი ლივერპულს უკვე 8 ქულით ჩამორჩება.

მიუხედავად ამისა, გვარდიოლა დარწმუნებულია, რომ სიტი მაინც იბრძოლებს ჩემპიონობისთვის და ჯერ მხოლოდ დასაწყისია:

– სამწუხაროა, რომ მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ, მაგრამ ფეხბურთში ასეც ხდება. დარწმუნებული ვარ, ლივერპული წაიფორხილებს, რადგან ყველა მატჩის მოგება შეუძლებელია, ჩვენ კი ამით უნდა ვისარგებლოთ. ჯერ არაფერი დასრულებულა და ჩვენ ვიბრძოლებთ.

ვალვერდე: „ბარსელონამ კრიზისი გადალახა“



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე სევილია დაამარცხა 4:0 და მატჩის შემდეგ ბარსელონის მთავარი მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე კმაყოფილი იყო.

ვალვერდეს თქმით, ბარსელონამ კრიზისი გადალახა და ფეხბურთელებმა თავდაჯერებულობა იგრძნეს:

– ძალიან მიხარია, რომ სევილია ასე დამაჯერებლად დავამარცხეთ, თუმცა ცოტათი გაგვიმართლა, რადგან მეტოქეს შეეძლო გოლის გატანა. ვფიქრობ, ფეხბურთელებმა თავდაჯერებულობა იგრძნეს და შემდეგ მატჩებში კიდევ უფრო უკეთ ითამაშებენ.

გრემიოს ფეხბურთელი აივნიდან გადმოვარდა და დაიღუპა

გრემიოს 23 წლის არგენტინელი ფეხბურთელი იზეკიელ ესპერონი ბუენოს აირესში ერთ-ერთი წვეულების დროს მე-6 სართულიდან გადმოვარდა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ესპერონი გრემიოს ეკუთვნოდა, მაგრამ მექსიკურ ატლასში იყო განათხოვრებული. წვეულების დროს ნასვამი ფეხბურთელი აივნის მოაჯირს მიეყრდნო და თავი ვერ შეიმაგრა, რის შემდეგაც დატრიალდა ტრაგედია.

ფეხბურთელს სამშობლოში დაკრძალავენ და არგენტინის ჩემპიონატში ყველა მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყება, ისევე, როგორც ბრაზილიის ჩემპიონატში.

ანტონიო კონტემ იუვენტუსი შეაქო

იუვენტუსმა გასვლაზე ინტერი დაამარცხა 2:1 და ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

მატჩის შემდეგ ინტერის მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ განაცხადა, რომ იუვენტუსი ყველა გუნდს აღემატება და ის სხვა დონეზეა. მიუხედავად ამისა, კონტემ თავისი ფეხბურთელები მაინც შეაქო.

– ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ შედეგისთვის მიგვეღწია, მაგრამ იუვენტუსი ყველა გუნდზე მაღლა დგას. მასთან კონკურენცია ძალიან რთული იქნება, – თქვა კონტემ.

ედენ აზარი: „ბედნიერი ვარ, რომ გოლი გავიტანე“

მადრიდის რეალის ახალმა ვარსკვლავმა ედენ აზარმა გრანადასთან რეალის შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა და ბელგიელი ამ ფაქტის გამო ძალიან გახარებული იყო.

აზარის თქმით, მას ეს გოლი თავდაჯერებულობისთვის სჭირდებოდა:

– დარწმუნებული ვარ, შემდეგ მატჩებს უკეთესად ვითამაშებ, რადგან დიდი ტვირთი მომეხსნა ზურგიდან. რეალში თავს მშვენივრად ვგრძნობ და მზად ვარ ახალი გამოწვევებისთვის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ტაო-კლარჯეთში კლდეში ნაკვეთი უცნობი ეკლესია აღმოაჩინეს

ტაო-კლარჯეთში კვლევის ცენტრის ექსპედიციამ თემურ ხუციშვილის ხელმძღვანელობით კლდეში ნაკვეთი უცნობი ეკლესია აღმოაჩინა:

– ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ექსპედიცია ამ არაჩვეულებრივი სიახლით დავიწყეთ! ჩვენმა ექსპედიციამ იმიერ ტაოში დღემდე უცნობ კლდეში ნაკვეთ ეკლესიას მიაკვლია.

გარდა იმისა, რომ ის გამორჩეულია თავისი დახვეწილობით, მისი საკურთხეველი მოხატულიც ყოფილა. მხატვრობა ძლიერაა დაზიანებული, თუმცა ორნამენტის ფრაგმენტი შემორჩა საკურთხევლის თაღზე, სამხრეთით. აქვე შემორჩა, სავარაუდოდ, ფრესკული წარწერის ფრაგმენტიც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბრიტანული ყველი; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. ძველი ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 4. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 5. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 8. საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ მეკარე; 9. ოსური ხაჭაპური; 12. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 14. მთიბავთა შრომის სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 16. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი გურიაში; 6. მეტისმეტად კომიკური, მხიარული წარმოდგენა; 7. ფირმა „ადიდასის“ დამფუძნებელი; 9. ჩარზე მომუშავე ოსტატი; 10. ფულის ერთეული თურქეთში; 11. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი, ბაქტერია; 13. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ბრიტანული ძაღლის ჯიში; 15. იმრე კალმანის ოპერეტა; 17. ჩანჩქერი კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 18. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი; 19. ფარული დაცინვა; 20. ლირიკული სიმღერა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა